გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 77
(11 534)

2 – 4 ოქტომბერი, 2001 წ.
ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

### სამბო. მსოფლიოს ჩემპიონატი ახალგაზრდებსა და ჭაბუკთა შორის

## თავდადებით მოპოვებული 7 მედალი

წუხელ კიშინიოვიდან დაბრუნდა საქართველოს სამბისტთა სპორტული დელეგაცია. მოლდოვას დედაქალაქმა მსოფლიოს უძლიერეს ახალგაზრდა და ჭაბუკ სამბოს ოსტატებს უმასპინძლა. ჩვენი ქვეყნიდან უსახსრობის გამო ორივე გუნდი არასრული შემადგენლობით გაემგზავრა და მიუხედავად იმისა, რომ მათ ასეთი მაღალი რანგის ასპარეზობის წინ შეკრებაც არ გაუვლიათ, ნახევარი შინ მედლით დაბრუნდა.



გიორგი შუბითიძე

ახალგაზრდებს შორის მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ევროპის წლევანდელმა ჩემპიონმა, რუსთაველმა გიორგი შუბითიძემ (90 კგ). ბრინჯაოს მედლები ხვდათ საგარეჯოელ ნოდარ მესდლიშვილს (69) და ჯიზბებელ ზვიად წიკლაურს (მძიმე). ჭაბუკთა ასპარეზობაში საპატიო კვარცხლბეკის მეორე საფეხურზე ავიდა ქარელელი გიორგი თოთლაძე (81), მესამე ადგილები ხვდათ თბილისელ გიორგი სენაშვილს (65), ზესტაფონელ გიორგი კაკიაშვილს (75) და მცხეთელ დავით ტატიშვილს (87). გუნდს ახლდა მწვრთნელი ემილ რაში. მთავარი მწვრთნელი ოლეგ იაძე კიშინიოვში დაფინანსების გამო ვერ გაემგზავრა. მისი თქმით: „ასეთ საპასუხისმგებლო ასპარეზზე ერთი მწვრთნელის ამარა ორი ნაკრების გაგზავნა იმას ნიშნავს, რომ წინდაწინვე ხარ განწირული მედლების დასაკარგავად. დარწმუნებული ვარ მეტი წარმატების მოპოვება შეიძლებოდა“ — დასძენს ო. იაძე.

საქართველოს სამბოს ფედერაცია დიდად ემადლიერება კასპის რაიონის გამგებელ გელა ქერქიაშვილს, ფოთის მერს აკაკი დარჩიაშვილს, რომლებმაც 3-3 სპორტსმენის მგზავრობის ხარჯები გაიღეს. სულ მალე, 18-23 ოქტომბერს, კრასნოიარსკი უმასპინძლებს მსოფლიო ჩემპიონატს დიდებში ეროვნული ნაკრებების მონაწილეობით. ამ ასპარეზობას მოლოდინად დაფინანსებს საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი. ახლა მიმდინარეობს თანხების მოძიება შეკრების ჩასატარებლად, რათა კრასნოიარსკის ხალიჩაზე ღირსეულად წარვსდგეთ.

## ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები...

6



კობიაშვილი

ლევერკუზენი — ფრაიბურგი



ბეირა მარი — პორტუ



რეალი — ვალიადოლიდი



ლაციო — პარმა

# გაზეთის დაბეჭდვის წინ:

## სფფ-ს ოფიციალური განცხადება

საქართველოს XIII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში
უმაღლესი ლიგა ● IX ტური

პირველ ოქტომბერს, მე-13 ეროვნული ჩემპიონატის მე-9 ტურის მატჩში თბილისის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ შორის, სტუმართა ფაქიზ ამსხმელმა პოროშინმა ხელით გაიტანა ბურთი მასპინძელთა კარში 37-ე წუთზე. შეხვედრის არბიტრმა სერგო კვარაცხელიამ დაუშვა უნებლიე შეცდომა — ვერ დააფიქსირა წესების დარღვევა და ჩათვალა გოლი. მატჩის დამთავრებისთანავე, სფფ-ში თამაშის ვიდეოფირის არაერთგზის ნახვის შემდეგ, სფფ-მ გადაწყვიტა საჯაროდ მოიხადოს ბოდიში თბილისის „დინამოსა“ და ფეხბურთის გულშემატკივართა წინაშე, ბოდიშს იხდის აგრეთვე, კლუბისა და მისი მხარდამჭერების წინაშე ფიფას არბიტრი სერგო კვარაცხელია.

სფფ-ს გადაწყვეტილებით, ს. კვარაცხელიას საკითხი განსახილველად გადაეცემა სფფ-ს მსაჯთა საექსპერტო კომისიას.

რაც შეეხება ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელს პოროშინს, რომელმაც დაარღვია „ფაირ-ფლეის“ პრინციპები და შეგნებულად ხელით გაიტანა გოლი, მისი საკითხი განსახილველად გადაეცემა სფფ-ს სადისციპლინო კოლეგიას, რომლის უახლოესი სხდომა ოთხშაბათს, 3 ოქტომბერს გაიმართება.



4

დინამო — ტორპედო

● **ველოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტრეკზე რბოლაში. ეს ასპარეზობა გუშინ დამთავრდა ანტვერპენში. პირველობა მოიპოვეს ფრანგებმა (ოთხი — ოქრო, თითო — ვერცხლი და ბრინჯაო), მეორე ადგილზეა რუსეთის ნაკრები (შესაბამისად 2, 1, 1) მესამეზეა — უკრაინა (ოქროს 2 მედალი).**

● **მრავალდღიანი ველორბოლის** (56-ე „ვუელტი“) დამამთავრებელ ეტაპზე ესპანელმა მიგელ ანხელ კასერომ გუშინ მე-4 ადგილი დაიკავა, რითაც საერთო ჩათვლაში გამარჯვება იზეიმა.

● **იუგოსლავიის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი კაპიტანი დრაგან სტოიკოვიჩი აირჩიეს ამ ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტად.**

● **პოლონელებთან** მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში უკრაინელთა მთავარმა მწვრთნელმა ვალერი ლობანოვსკიმ 5 მეკარე მიიწვია: ვორობიოვი („ტორპედო“, მოსკოვი), ვირტი („შახტარი“), რევა („დინამო“), კერნოზენკო (ცსკა), ლევიცკი („სპარტაკი“, მოსკოვი).

● **ავსტრიელებს სურდათ ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ისრაელებთან, პალესტინელთა მხრიდან ტერორიზმის მომიზეზებით, სხვა ქვეყანაში გამართულიყო, მაგრამ ფიფამ გუშინ საღამოს უარყო ეს თხოვნა, და მატჩი, როგორც ეს დადგენილი იყო, გაიმართება თელ-ავივში.**

## „კავკასიის თასის“ გათამაშება თბილისში



2

ტურნირის საუკეთესო მხედარი კახაბერ კილაძე (წინა პლანზე)

რომერ ბერიძის ფოტო

3

## გულშემატკივარი გთავაზობთ ფეხბურთში ქულების დარიცხვის ახალ წესს ...

## „ბულის დღე“ თბილისში



2

მალხაზ შველიძის ფოტო

## ფეხბურთი ● ევროპის ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატები

| | | |
|---|---|---|
| რუსეთი: | ტორპედო – როტორი | 1-1 |
| | ანჟი – ჩერნომორეცი | 3-1 |
| | დინამო – ტორპედო ზილი | 2-1 |
| ჩეხეთი: | ლიბერეცი – დრნოვიცე | 1-1 |
| შვეიცარია: | სერვეტი – ბაზელი | 1-4 |
| ფინეთი: | ჰიკი – ატლანტისი | 4-1 |
| შვედეთი: | გიოტებორგი – იორგრიტე | 1-1 |
| | ნორჩოპინგი – ჰალმსტადი | 0-3 |
| | ჰამარბი – მალმიო | 4-1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ATHENS 2004

CANDIDATE CITY

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 2 წელიწადი და 10 თვე დარჩა

SALT LAKE 2002

ზამთრის XIX ოლიმპიურ თამაშებს 132 დღე გვაშორებს

8–24 თებერვალი 2002 წ.

## მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო – ქართულ სპორტს!

## ათენის მზადებით სოკ-ი უკმაყოფილო არ არის

**„საბერძნეთი რეალურ პროგრესს აღწევს 2004 წლის ოლიმპიადისათვის მზადებაში“ — ასეთია სოკ-ის საინსპექციო კომისიის დასკვნა. კერძოდ: ამაღლდა საორგანიზაციო კომიტეტის მმართველობითი როლი ყველა მიმართულებით, თამაშების ბიუჯეტი მკაცრად კონტროლდება, დაწყებულია მშენებლობები ოლიმპიური სოფლის ზონაში, გეგმით მიმდინარეობს მთელი რიგი ნაგებობების მშენებლობა. წარმატებით მიმდინარეობს სპონსორთა მოზიდვა. ლიცენზიების გაცემით სავარაუდო შემოსავლების გეგმა 147 პროცენტითაა შესრულებული, 21 ათასი ადამიანი მზადაა თამაშებს მოემსახუროს უფასოდ.**

## ზამთრის ოლიმპიადა ნაღმზე!

**11 სექტემბერს ტერაქტების სერიის შემდეგ, „ამინდი“ სპორტულ სამყაროშიც შეიცვალა, მით უფრო, რომ 2002 წლის ზამთრის თამაშების ტერაქტების სამიზნე აშშ-მა და მისმა სოლტ ლეიკ-სიტმა უნდა უმასპინძლოს. შეშფოთებას აქვს საფუძველი და გამოთქმაში „ზამთრის ოლიმპიადა ნაღმზეა!“ ალბათ არაფერია გადაჭარბებული, გამოჩნდნენ ქვეყნები, რომლებიც მზად არიან უმასპინძლონ მოახლოებულ თამაშებს, მაგრამ სოკ-ი და თვით თამაშების ორგანიზატორი ამერიკის მხარე შეუვალია. ისინი აცხადებენ, რომ თამაშები აუცილებლად ჩატარდება დათქმულ ვადებში და იქ, სადაც ის დაგეგმილია.**

**მაგრამ თუ აშშ-ი ომს დაიწყებს? აი, აქ კი ძნელია თავგამ...ება და დაჟინება თამაშების არათუ მასპინძლობაზე, არამედ, საერთოდ, ჩატარებაზე. შეგახსენებთ, რომ პირველი და მეორე მსოფლიო ომების დროს ოლიმპიური თამაშები არ ჩატარებულა.**

## ცხენოსნობა «კავკასიის თასი»

# იქნებ შემობრუნების დასაწყისი?

საქართველოში ცხენოსნობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა დაფიქსირდა — ჩვენს ქვეყანაში ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაციის (ფეი) ეგიდით, პირველად ჩატარდა საერთაშორისო შეჯიბრება ცხენოსნობის ოლიმპიურ სახეობაში — დაბრკოლებათა გადალახვაში „კავკასიის თასზე“. ასპარეზობას თბილისის იპოდრომმა უმასპინძლა, სადაც ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ფინანსური მხარდაჭერით, ამიერკავკასიაში კონკურის უნიკალური მოედანი მოეწყო ტრიბუნებით.

კავკასია კონფლიქტების ზონადაა მიჩნეული, ამიტომ ასეთ ასპარეზობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, გნებავთ, პოლიტიკური თვალსაზრისითაც. ანალოგიური ასპარეზობა შარშან, პირველად კავკასიაში, ერევანში გაიმართა, მაგრამ იქ აზერბაიჯანელები არ ჩავიდნენ, თბილისში კი ერთიც ჩამოვიდა და მეორეც, ოღონდ ეგაა სომხები — უცხენებოდ, მერნები მათ მასპინძლებმა დაუთმეს. პროგრამაში იყო 5 კონკური. აქედან ოთხი პირადი პირველობისა, მეხუთე და ბოლო კი — გუნდური ასპარეზობა „კავკასიის თასზე“. ამიერკავკასიელ მხედართა ოსტატობის დონე მაღალი არ არის, ამიტომაც ვერ ხვდებიან ისინი ევროპის, მსოფლიო თუ ოლიმპიურ ასპარეზზე, მაგრამ ნებისმიერი დონის შეჯიბრებაში ვლინდებიან შედარებით ძლიერები. საქართველოდან ესენი იყვნენ გამოცდილი ცხენოსანი კახაბერ პიკიანი, გიორგი სამხარაძე და გოგიტა კოდუა, აზერბაიჯანიდან სარნედ მუსაევი. ჩვენს მხედრებს აშკარად დაეტყოთ წარსულში ცნობილი მხედრისა და ამჟამად მწვრთნელის მიხეილ ტატიშვილის გამოცდილება. ის ახლა წამყვან სპორტსმენებს ავარჯიშებს თავიანთ მერნებთან ერთად და უნდა ვივარაუდოთ, რომ ახლო მომავალში მათი კლასი საგრძნობლად ამაღლდება.

ფედერაციის მუშაკთა, იპოდრომის დირექციის (დირექტორი ლაშა ჯაიანი), შინაგანი ჯარის საცხენოსნო ბაზის ხელმძღვანელთა თავდადებულმა გარჯამ, სასურველი შედეგი გამოიღო — ასპარეზობა მაღალ ორგანიზებულ დონეზე ჩატარდა, დედაქალაქმა კი შესანიშნავი საასპარეზო შეიძინა. არც ერთ სტუმარს ფეი-დან არანაირი შენიშვნა არ გამოუთქვამს. მათი მაღალი შთაბეჭდილება იმის საწინდარია, რომ მომავალში ჩვენთან კვლავ ჩატარდება უფრო ფართო მასშტაბის ასპარეზობა.

„რაკი პირველი ნაბიჯი წარმატებით გადაიდგა, ახლა ყურადღებას გადავიტანთ შავი ზღვის აუზის ქვეყნების ცხენოსანთა ასპარეზობაზე, რაშიაც საერთაშორისო ფედერაციის მხარდაჭერის იმედი გვაქვს“ — გვითხრა საქართველოს ცხენოსნობისა და თანამედროვე ხუთჭიდის ფედერაციის პრეზიდენტმა თენგიზ აბულაძემ. ეს ასპარეზობა გამორჩეული იყო ძვირფასი პრიზების სიუხვითაც. საქართველოში ჯერ ცხენოსანთა არც ერთ ასპარეზობაზე არ ყოფილა გათამაშებული ასეთი სოლიდური ჯილდოები, რომლებიც ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ დააწესა. მონაწილე გუნდებისთვის, მხედრებისთვის ესოდენ სასურველი ცხენის ფიგურები გამოყო პრიზად მოსკოვში მოღვაწე ბიზნესმენმა, ვეტერანმა სპორტსმენმა, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯმა სულიკო როგავამ.

გამარჯვებულებს და პრიზიორებს ჯილდოები გადასცეს საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ირაკლი მეძმარიაშვილმა, საქართველოს ცხენოსნობისა და თანამედროვე ხუთჭიდის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა თენგიზ აბულაძემ და ვეტერანმა მხედარმა ალექსანდრე დგებუაძემ.

ასპარეზობას ესწრებოდნენ ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენლები.

***გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს. კონკური №1:*** 1. სამედ მუსაევი (აზერბაიჯანი), 2. გოგიტა კოდუა, 3. როინ მარგიანი (ორივე — საქართველო); ***კონკური №2:*** 1. გიორგი კოდუა, 2. ზაზა ჩიტრიკაშვილი, 3. გიორგი ბულისკერია (სამივე — საქართველო); ***კონკური №3:*** 1. გიორგი სამხარაძე, 2. კახაბერ კიკიანი, 3. ირაკლი ნარმანია (სამივე — საქართველო; ***კონკური №4:*** 1. კიკიანი, 2. მუსაევი, 3. ირაკლი ნარმანია; ***კონკური №5. გუნდური:*** „კავკასიის თასი“: 1. საქართველო, 2. აზერბაიჯანი, 3. საქართველო.

**თ. თომაშვილი**




*ფეი-ს წარმომადგენლები, შეჯიბრების ორგანიზატორები, მსაჯები და ასპარეზობის საუკეთესო მხედარი კახაბერ კიკიანი.*

## აღდგა თბილისის ტანვარჯიშის ფედერაცია

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში ჩატარდა ტანვარჯიშის თბილისის ფედერაციის არჩევნები. საქალაქო კონფერენციაზე დედაქალაქის ტანვარჯიშის სამყარომ თბილისის ტანვარჯიშის ფედერაციის პრეზიდენტად ერთსულოვნად აირჩია ვეტერანი ტანმოვარჯიშე, თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის მთავარი სპეციალისტი მერაბ კაკაბაძე, მის გარდა, პრეზიდიუმის შემადგენლობაში შევიდნენ: საქტრანსმშენის გენერალური დირექტორი დავით ხუციშვილი, საქართველოს ოვირის უფროსის მოადგილე ავთო ბარამაშვილი, საფოსტო ბანკის დირექტორი, ყოფილი ტანმოვარჯიშე კოტე ლაშხი, სს „ჩარხმშენებლის“ კომერციული დირექტორი გიორგი გოშაძე, შპს „ფლორიალის“ გენერალური დირექტორი გოჩა ჯახვაშვილი, სანზონის პოლიციის უფროსი ნუგზარ როსნაძე, შპს „სეტი — პეტროლიუმის“ გენერალური დირექტორი გია ბასიაშვილი, სპორტული ტანვარჯიშის სპორტსკოლის დირექტორი გივი ჩხარტიშვილი, ტანვარჯიშულ სახეობათა უფროსი მწვრთნელები: ელისო ბედოშვილი, ზაურ სულაშვილი და თამაზ ბუზიაშვილი.

*რედაქციისაგან: ზემოხსენებული არჩევნები თავისებურად გამორჩეული და მისასალმებელია თავისი შინაარსის გამო. პრეზიდიუმის ისეთ შემადგენლობას, როგორიც თბილისის ტანვარჯიშის ფედერაციამ აირჩია, ბევრი ინატრებდა. ისე, კაცმა რომ თქვას, ეს ნატვრა ძნელი ასასრულებელი სულაც არ არის, მთავარია ძიება, ურთიერთობები, ნდობა, საქმიან ადამიანთა წრიდან თანამდგომთა და თანამოაზრეთა შემოკრება ქართული სპორტის სასიკეთოდ. აი, რა დავინახეთ ამ არჩევნებში.*

*ეჭვიც არ არის, რომ თბილისის ტანვარჯიშის ფედერაცია ყველაფერს გააკეთებს უპირველესად თავისივე წესდების მოთხოვნების შესასრულებლად. თუ ყველაფერი კარგად აეწყო, და, ეჭვიცა არაა, რომ იქნება, ეს ფედერაცია სულ მალე გახდება სამაგალითო მთელს ქვეყანაში.*

# გული უნდა გულობდეს...

პოეტისა არ იყოს, შემოდგომის მობრძანებას სულ პირველად რუსთაველზე გაიგებ, როცა თბილისური შემოდგომის მომაჯადოებელი ფერებით ალმოდებულ პროსპექტს წელიწადის ამ დროს ერთგვარად გამოაცოცხლებს ხოლმე მორბენალთა სტარტები, თითქოს აქაურობას საშუალებას არ აძლევს ზამთრის ღრმა ძილს რომ მისცეს თავი.

ალბათ გახსოვთ, ადრე ამ საქალაქო გარბენებს, რომელიც დიდი მასობრიობით გამოირჩეოდა, „ოქროს შემოდგომა“ ერქვა. ახლა კი, უკვე მეორედ, გარბენი მსოფლიოს ჯანმრთელობის ორგანიზაციის, „გულის“ მსოფლიო ფონდისა და იუნესკოს ეგიდით ჩატარდა, რასაც ჩვენი დედაქალაქი მომზადებული შეხვდა „გულის“ საქართველოს ფონდის პრეზიდენტ პროფესორ მერაბ მამაცაშვილის, ქალაქის მერიის სპორტის და ტურიზმის სამსახურის (დავით ჭელიძე), სხვათა მცდელობითა და თანადგომით.

ეს დღე მასობრივი გარბენებით არ შემოიზღუდა და მას დიდი გამოხმაურება ჰქონდა ჩვენში. განზე არც ხელოვანნი დარჩენილან, კერძოდ, ცნობილმა კომპოზიტორმა იაკობ ბობოხიძემ დაწერა ჰიმნი, რომელიც „გულის“ დღეს მიუძღვნა.

კვირა დილით, 10 საათზე, გარბენმა სტარტი აიღო ვაკის პარკთან. ამ მთავარ, 4.680 მეტრიან დისტანციაზე მონაწილეობდნენ 50 წლამდე ენთუზიასტები. გაცილებით მოკლე მანძილზე — ფილარმონიის საკონცერტო დარბაზიდან — თავისუფლების მოედნამდე (2000 მ-მდე) გამოვიდნენ ვეტერანები, ინვალიდები და უმცროსი კლასების მოსწავლეები.

კროსში მონაწილეობდა ქალაქის მერი ვანო ზოდელავა, დედაქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე ლადო კახაძე, რომელიც ყოველდღიურ საქმიანობაში დიდ ყურადღებას უთმობს სპორტს და პირადი მაგალითით (იგი შარშანაც გამოვიდა ამ ღონისძიებაში) პროპაგანდას უწევს ჯანსაღი ცხოვრების წესს. კროსში მონაწილეობდნენ აგრეთვე საკრებულოს „დამოუკიდებლობა“ ფრაქციის თავმჯდომარე ირაკლი ქავთარაძე, პარლამენტარი კობა ამირხანაშვილი. ამ ზეიმში მონაწილეობდნენ ჩვენი სახელოვანი ფალავნები: დავით ციმაკურიძე, ლევან თედიაშვილი, გურამ სალარაძე, ვეტერანთა გარბენის ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა თინათინ დოლიძემ, მას კვალდაკვალ მიჰყვნენ ნათელა ანთაური, ნინო ბურჯანაძე, ვაჟთა შორის უძლიერესი იყო ზურაბ ჯაფარიძე, შემდეგ მოდიან გურამ ლომთაძე, ჯემალ მენთეშაშვილი. მალე ფინიშთან მიიჭრა მეორე, ძირითადი გარბენის ლიდერთა ჯგუფი. ქალები: 1. ქეთევან აბრამიძე, 2. შარშანდელი გამარჯვებული ნანა გუთანაიძე, 3. ლიკა დვალიშვილი — ორგზის ოლიმპიური პრიზიორის ნადეჟდა დვალიშვილის შვილიშვილი.

ვაჟთა შორის პირველობა შეინარჩუნა შარშანდელმა გამარჯვებულმა ჰამლეტ მამიკონიანმა, მეორე იყო დავით გელაშვილი, მესამე — მურმან კალანდია. კროსის კვალდაკვალ, იქვე, რუსთაველის პროსპექტზე, ტრადიციულად, ჩატარდა ველოსიპედისტთა ასპარეზობა — კრიტერიუმი, რომელშიც მასპინძლებთან ერთად გამოდიოდნენ ქუთაისელი და ლაგოდეხელი მრბოლები.

მოასპარეზეებს უნდა დაეძლიათ 15 წრე — თავისუფლების მოედანი — სასტუმრო „ივერია“. გაიმარჯვა ლაგოდეხელმა რამაზ მანაგაძემ, მომდევნო ადგილები თბილისელებს — გიორგი ნადირაძესა და ბაჩანა გიორგაძეს ერგოთ.

გამარჯვებულები და პრიზიორები დასაჩუქრდნენ ძვირფასი პრიზებით.

**ჯ. უნგიაძე**




მასობრივი ველორბენი



შეჯიბრების ორგანიზატორები გამარჯვებულებთან

ფეხბურთის დიდოსტატები

# სლავა (ზაურ) მეტრეველი

მეოცე საუკუნის ქართველ ფეხბურთის ვარსკვლავთა შორის სლავა მეტრეველი ერთადერთია, რომელსაც წილად ხვდა პატივი — ეთამაშა ფიფა-ს ნაკრებში — 1969 წლის შემოდგომაზე ბრაზილიის უდიდეს სტადიონ „მარაკანაზე" ამ ქვეყნის ნაკრების წინააღმდეგ. მატჩის მეორე ტაიმში სლავამ ცნობილი ესპანელი ფორვარდი მადრიდის სამეფო კლუბ „რეალის" წამყვანი ძალა ამარო ამანსიო შეცვალა. ზემოაღნიშნულ შეხვედრაში სლავა მეტრეველს პარტნიორობას უწევდა განთქმული ურუგვაელი ფორვარდი როჩა და უნგრელი ფარკაში. მატჩის პერიპეტიების ირგვლივ თავის დროზე სლავას არაერთგზის უსაუბრია და განსაკუთრებით აღნიშნავდა, რომ პელესგან მეტს მოელოდა — თუმცა მას პერსონალურად იჭერდა დასავლეთგერმანელი მცველი ვილი შულცი და ამოსუნთქვის საშუალება არ მისცაო... რაც შეეხება ახალ კოლექტივში მის ახალ ამპლუაში ცენტრფორვარდად თამაშს, ამჯერადაც სლავას არაერთგზის განუცხადებია, რომ ამაში იგი ვერ ხედავს ვერავითარ სიახლეს, რადგან მისი კარიერა ჯერ სოჭის გუნდში, მერე კი გორკის „ტორპედოში" სწორედ ცენტრფორვარდად დაწყებულა. სლავა მეტრეველი იმდენად შეყვარებული გახლდათ ტყავის ბურთზე, მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა სად და რომელ ამპლუაში ითამაშებდა იგი — თუნდაც მეკარედ. სლავა მეტრეველი რომ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არანაკლებ პოპულარული გახლდათ ვიდრე თავის სამშობლოში, ამაზე მეტყველებს სულმნათ გურამ ფანჯიკიძის მოგონება — „როდესაც არგენტინის დედაქალაქ ბუენოსაირესის „რივერ პლეიტის" სტადიონის პრესლოჟაში ვიმყოფებოდი — გავიცანი არგენტინის ერთ-ერთი პოპულარული საფეხბურთო მიმომხილველი უმბერტო მოსი. აი რა განაცხადა მან — ჩვენთან არგენტინაში ლევ იაშინს, მიხეილ მესხსა და სლავა მეტრეველს სუპერვარსკვლავებად მიიჩნევენ — თითოეული მათგანი 50-50 მილიონ პესოდ არის შეფასებული (იმ დროისათვის საარაკო თანხა (?!) — მათზე უკეთესი ფეხბურთელები ჩვენს სტადიონს საერთოდ არ უნახავსო. კორესპონდენტთა უამრავ კითხვაზე რაში ხედავს იგი განსხვავებას მოსკოვის „ტორპედოსა" და თბილისის „დინამოს" შორის, სლავას პასუხი ასეთი გახლდათ — „ტორპედოში მეტია კოლექტივიზმი — თბილისის „დინამოში" კი ინდივიდუალიზმი... ხოლო თუ რა განსხვავებაა მასსა და მიშა მესხს შორის, იგი აღნიშნავდა — „მიუხედავად იმისა რომ მე და მიშა ერთი გუნდის ფრთეები ვართ, ჩვენი თამაშის სტილი მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან. მიშა მესხი მწვავე შემტევი ფეხბურთელია რომლის ბურთის ფლობის ტექნიკა ვირტუოზულია, ხოლო საწყისი სიჩქარე და ფინტები გასაოცებელი — ამ მხრივ მას მხოლოდ გარინჩა თუ გაუწევს მეტოქეობას, ხოლო რაც შემეხება მე — მიშა მესხთან შედარებით თავით მე უკეთესად ვთამაშობ. მიშა მხოლოდ ფრთიდან შემტევი ფეხბურთელია, ჩემთვის კი სულ ერთია რომელ ამპლუაში არ უნდა ვითამაშო — თუნდაც მეკარედ.

თავისი ხანგრძლივი სპორტული კარიერის მანძილზე თუ რომელ მატჩებს გამოყოფდა — სლავა აღნიშნავდა — „პირველი ასეთი მატჩი 1960 წელს პარიზში გახლდათ ევროპის თასზე, მეორე კი ორი წლის შემდეგ შორეულ არგენტინაში როდესაც საბჭოთა ნაკრებმა დამაჯერებლად სძლია მასპინძლებს — 2-0". ამ მატჩს სლავა მეტრეველი მიიჩნევდა საუკეთესოდ მთელი თავისი კარიერის მანძილზე. მცველთა შორის



კი, რომლის წინააღმდეგაც მას უთამაშია — იგი ჯალმა სანტოსს გამოყოფდა — თუმცა არც ბეკენბაუერი, ფაკეტი და ხურცილავა დავიწყებია...

ყველაზე გულდასაწყვეტ მოვლენად თავის კარიერაში სლავა მიიჩნევდა ჩილეს მსოფლიო ჩემპიონატზე საბჭოთა კავშირის ნაკრების მატჩს იუგოსლავიასთან, რომლის დროსაც მან მძიმე ტრავმა მიიღო და ვერ შესძლო მატჩის გაგრძელება. სლავა მეტრეველი მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატების ორგზის მონაწილე, ევროპის თასის მფლობელი, სსრ კავშირის ჩემპიონი და თასის მფლობელი მოსკოვის „ტორპედოსა" და თბილისის „დინამოს" შემადგენლობაში — 8-ჯერ იქნა შეყვანილი 33 საუკეთესო ფეხბურთელს შორის — მათ შორის 7-ჯერ პირველ ნომრად. სლავა მეტრეველი 1956 წლის საფეხბურთო სეზონში ჩაირიცხა მოსკოვის „ტორპედოში" და ამ წელს მან მხოლოდ 5 თამაშის ჩატარება მოასწრო, მომდევნო, 1957 წლის სეზონში კი, ყველა 22 კალენდარულ მატჩში მიიღო მონაწილეობა და გაიტანა 6 ბურთი, შედარებისთვის ამ სეზონში ედუარდ სტრელცოვმა მხოლოდ 15 შეხვედრა ჩაატარა და გაიტანა 12 ბურთი. სულ მალე სამეულმა სლავა მეტრეველი, ვალენტინ ივანოვი, ედუარდ სტრელცოვი — მოსკოვის „ტორპედოს" შემადგენლობაში უძლიერესის სახელი დაიმკვიდრა და მათ მიმომხილველებმა „სამი მუშკეტერი" შეარქვეს. ვინ იცის, ალბათ, კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა ზემოაღნიშნული სამეულის „ტრიუმფი" რომ არა სტრელცოვის გახმაურებული საქმე და სწორედ ამ მომენტიდან დაიწყო „ტორპედოს" დაღმასვლა. 1958 წლის საფეხბურთო სეზონში სლავა მეტრეველმა, თანაგუნდელებთან ნიკოლაი სენიუკოვთან და იური ფალინთან ერთად ჩემპიონატის 22-ვე შეხვედრა ჩაატარა და გაიტანა 6 ბურთი, „ტორპედო" კი მოკრძალებული მე-7 ადგილით დაკმაყოფილდა. 1959 წლის სეზონში სლავა მეტრეველმა მხოლოდ 1 შეხვედრა გამოტოვა — 21 მატჩი ჩაატარა და გაიტანა 3 ბურთი — იგი კვლავ 33 საუკეთესოთა შორის №1 მარჯვენა გარემარბად დაასახელეს. იგივე გაიმეორა სლავამ 1960 წლის საფეხბურთო სეზონშიც. 22 შეხვედრა ჩაატარა, 6 ბურთი გაიტანა და გარდა იმისა, რომ იგი კვლავ №1 ფეხბურთელად აღიარეს, მას მიენიჭა სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება, სლავა მეტრეველი №1 ფეხბურთელად იქნა დასახელებული 1961 და 1962 წლის სეზონთა შედეგებითაც. 1963 წლიდან სლავა მეტრეველი თბილისის „დინამოშია" და სულ ერთი სეზონი დასჭირდა მას რათა „დიდი ურუგვაელები" გამარჯვებულის კვარცხლბეკზე აეყვანა. სლავა თბილისის „დინამოს" კაპიტანიც გახლდათ და მისი ერთ-ერთი მწვრთნელიც, თუმცა, როგორც მწვრთნელს მას არ ჰქონია რაიმე განსაკუთრებული შედეგი და ამჯერადაც ფეხბურთის ჯადოქრის ელენიო ერერას სიტყვები უკვე მერამდენეჯერ გამართლდა — „სამწუხაროდ გამოჩენილი ფეხბურთელები იშვიათად ხდებიან გამოჩენილი მწვრთნელები". ზემოაღნიშნული ფრაზა კიდევ ერთი დასტურია თვით ზემოაღნიშნული ფეხბურთის ჯადოქრის ცნობილი პოსტულატისა — „ფეხბურთის თამაში გაცილებით ადვილია ისწავლო თვითონ, ვიდრე ასწავლო სხვას". სლავა მეტრეველი ფეხბურთის მინდვრის გარეთაც უაღრესად მრავალმხრივი სპორტსმენი გახლდათ, მას ერთნაირად იზიდავდა ნადირობა და თევზაობა, ცურვა, ჭადრაკი. თვით მსოფლიო ჩემპიონ ნონა გაფრინდაშვილთან თამაშის ერთდროულ სეანსზე 70-იან წლებში სლავამ საპატიო ყაიმი დააფიქსირა. სლავა მეტრეველი კარგა ხანია აღარაა ჩვენს შორის — მისთანა ფეხბურთელს მსოფლიოს ბევრი ქვეყანა ინატრებდა და რომ ჰყოლოდა „ოქროს" ძეგლსაც დაუდგამდა. თბილისის „დინამოში" გადმოსვლამდე „ოქროს მთებს" პირდებოდნენ. დღეს იგი, ვფიქრობ, რამდენადმე მივიწყებულიცაა, კარგი იქნება თუ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია შუამდგომლობას აღძრავს ფიფაში და ლეგენდარულ ფეხბურთელებს მიხეილ მესხსა და სლავა მეტრეველს თავიანთ ღირსეულ ადგილს მიუჩენენ — „დიდების მუზეუმში".

**დემურ ტორაძე**

ქართული ჭიდაობის მ[illegible]

# ილო თომაშვილი (სავანელი)



ილო თომაშვილი დაიბადა 1898 წელს, თბილისში. მისი სიჭაბუკე იმ პერიოდს დაემთხვა, როდესაც ქართულმა ჭიდაობამ განვითარების ზენიტს მიაღწია. თბილისში საჭიდაო წრეები და მოედნები იმდენად ხშირი იყო, რომ ხანდახან მათ შორის მანძილი ას მეტრს არ აღემატებოდა. ჭიდაობა იმართებოდა ფიქრის გორაზე, მუშტაიდში, დიდუბეში, რიყეზე – სირაჯხანასთან, ხუდადოვის ტყეში, კუკიაზე, ელიაზე – „იაგორას ბალაგანში" და ათეულ სხვა ადგილას, რაც იმ დიდ სიყვარულს და პოპულარობას მოწმობს, რომელსაც ჩვენი ერი ქართული ჭიდაობისადმი იჩენდა. 15 წლის ჭაბუკი, 1913 წელს პირველად გამოვიდა საჭიდაო სარბიელზე და მას შემდეგ მრავალჯერ მოიპოვა ფალავნის სახელი. იგი პროფესიონალი მოჭიდავე გახდა და სვანელის ფსევდონიმით გამოდიოდა 30-იან-40-იან წლებში. ვინ იცის, რამდენ შთამბეჭდავ გამარჯვებას მოიპოვებდა ილო თომაშვილი, რომ მისთვის გზა არ გადაეკეტა უძლეველ გოლიათს სანდრო კანდელაკს, რომელთანაც ორთაბრძოლაში იგი დამარცხდა, სერიოზული ტრავმა მიიღო და ჭიდაობას თავი დაანება.

1931 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტი, მებაღეობა-მევენახეობის სპეციალობით. 1939 წელს კი ექსტერნად ჩააბარა თბილისის სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტში. სხვადასხვა დროს მუშაობდა ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მეცნიერ-მუშაკად, სპორტსაზოგადოება „დინამოს" მწვრთნელად – ქართულ ჭიდაობაში, სამბოსა და თავისუფალ ჭიდაობაში. სამწვრთნელო საქმიანობასთან ერთად ილო თომაშვილი ეწეოდა აქტიურ სამეცნიერო მუშაობასაც. 1940 წელს საკავშირო ჟურნალი „ფიზკულტურა ი სპორტში", პირველად ქართული ჭიდაობის ისტორიაში, რუსულ პრესაში გამოაქვეყნა ქართული ჭიდაობის 11 ფანდის აღწერა ფოტოილუსტრაციებით. შემდეგ კი, გამოსცა ქართული ჭიდაობის პირველი ორიგინალური სახელმძღვანელო, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა, დღესაც არ კარგავს აქტუალობას და სამაგიდო წიგნია ქართული ჭიდაობის სპეციალისტებისა და დაინტერესებული პირებისათვის. გადმოცემის თანახმად, ქართული ჭიდაობის სახელმძღვანელოს ერთი ეგზემპლარი სტალინისთვის გაუგზავნიათ, რომელსაც მისი დიდი მოწონება დაუმსახურებია. ამ ფაქტით კი, თურმე დიდად ამაყობდა ავტორი. ალბათ, ეს ამბავი, სინამდვილეს შეეფერება, რადგან, როგორც ცნობილია, სტალინი დიდად აფასებდა ქართულ სპორტს და კერძოდ, ხალხის საყვარელ ქართულ ჭიდაობას, როგორც საერთოდ ჭიდაობის ერთ-ერთ ულამაზეს ნიმუშს (იხ. ვ. ეგნატაშვილის წერილი: „ქართული სპორტი და ჩვენი ამოცანა", ახ. კომი, №217, 1940 წ.).

გარდა ქართული ჭიდაობისა, ილო თომაშვილს დიდი ამაგი მიუძღვის ჩვენში ჭიდაობა სამბოს განვითარებაში. იგი იყო საქართველოში სამბოს ფუძემდებელი და სამბისტთა ნაკრები გუნდის პირველი უფროსი მწვრთნელი 1950 წლამდე, რის შემდეგაც ესტაფეტა გადასცა თავის აღზრდილს, საქართველოს ოთხგზის ჩემპიონს ქართულ ჭიდაობაში და საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონს სამბოში ქრისტეფორე ნინიაშვილს, რომელიც შემდეგნაირად ახასიათებს თავის აღმზრდელს: „ჩვენ მას ილია ზახარიჩს ვეძახდით, იგი იყო მეტად პრინციპული, ავტორიტეტული, განათლებული და ფიზიკურად ლამაზი კაცი". მასთან სავარჯიშოდ 1944 წელს მივედით მე და გრიგოლ ხუციშვილი, ვარჯიშები გვიტარდებოდა სანაპიროზე არსებულ მაშინდელ ფიზკულტურის ტექნიკუმში. შემდეგ „დინამოს" სპორტდარბაზში გადავინაცვლეთ, სადაც იგი ვახტანგ კუხიანიძესთან ერთად ავარჯიშებდა მოსწავლეებს. მის მიერ აღზრდილი ფალავნები არაერთხელ გამოსულან გამარჯვებულნი საკავშირო და რესპუბლიკურ ჩემპიონატებში, მათ შორის: ესტატე ქარქუსაშვილი, ქრისტეფორე ნინიაშვილი, ვალიკო პეტრიაშვილი, ვახტანგ ლაფაური, ალიოშა მალაციძე, გივი ლაშაური, გოგი ბერიკაშვილი და სხვა. მას დიდი მეგობრობა აკავშირებდა სანდრო კანდელაკთან, მიუხედავად იმისა, რომ იგი სანდროსთან დამარცხდა, მათ შორის, როგორც ჭეშმარიტ ფალავნებს შეშვენით, გულითადი მეგობრობა დამყარდა. იგი ხშირად ეწვეოდა ხოლმე მცხეთაში სანდროს. მას შეუნიშნავი არ დარჩენია სანდროს ტანმაღალი და ფიზიკურად ძლიერი ყმაწვილი ოთარი და სანდროსთვის უთხოვია, იგი თბილისში გაეტანებინა ჭიდაობაში სავარჯიშოდ. სანდრო ერთხანს უარზე ყოფილა, შემდეგ კი დათანხმებულა. ჩვენს აღმზრდელს ინტუიციამ არ უღალატა – ოთარი შემდეგში სახელგანთქმული ფალავანი გახდა.".

ბევრ დადებით თვისებებთან ერთად ილო თომაშვილი ყოფილა კეთილი, მეუღლის – მარიამ თუმანიშვილის დიდი მოსიყვარულე, პოეტური ბუნების ადამიანი, ჰყვარებია პოეზია და ზეპირად სცოდნია „ვეფხისტყაოსანი". ჰქონია მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელიც საჯარო ბიბლიოთეკისათვის გადაუცია.

უებრო ფალავანი, ღირსეული მამულიშვილი, ქართული ჭიდაობის სახელმძღვანელოს ავტორი და სამბოს ფუძემდებელი 1965 წელს გარდაიცვალა 67 წლის ასაკში. დაკრძალულია საბურთალოს სასაფლაოზე.

**იური იმერლიშვილი**

გულშემატკივრის მოსაზრება

# გთავაზობთ ქულების დარიცხვის ახალ წესს ფეხბურთში

ფეხბურთში მოქმედი 2 და 3 ბალიანი შეფასების სისტემა, ჩემი აზრით, ვერ პასუხობს დღეს ფეხბურთის განვითარებისათვის წაყენებულ მოთხოვნებს და მოძველდა, რადგან ერთი, სამი თუ ხუთი ბურთის სხვაობით დამთავრებული მატჩების დროს, ყველას ერთნაირი ქულები ეწერება და არ ხდება თამაშში გამოვლენილი კლასის და უპირატესობის ობიექტური შეფასება.

ამიტომ საჭიროა თამაშში ნაჩვენები შედეგების მიხედვით მოხდეს შეხვედრების დაყოფა და დიფერენცირებულად იქნეს შეფასებული განსხვავებული ანგარიშებით დამთავრებული მატჩები.

გთავაზობთ ფეხბურთში ქულებით შეფასების ახალ წესს, რომელიც მოგება-წაგებაზე დაწერილი ქულების გარდა, ითვალისწინებს ანგარიშში ბურთების ყოველი შემდგომი სხვაობისათვის პრემიალური ქულათა პროცენტების დარიცხვას კლებადი არითმეტიკული პროგრესიით.

შეფასებისას ამოსავალია 2 ბალიანი სისტემა, რომელიც გარკვეულ კანონზომიერებას უჩვენებს. მოგება-წაგების და ფრეს შემთხვევაში გუნდებისათვის დაწერილი ქულათა ბალანსი არ ირღვევა და 2-2 ქულას შეადგენს.

ფრედ დამთავრებული მატჩის შემთხვევაში, თითოეულ გუნდს თითო-თითო ქულა ეწერებათ.

განსხვავებული მდგომარეობაა მოგების შემთხვევაში:

**1 ბურთიანი სხვაობით მოგებული მატჩისათვის გამარჯვებულ გუნდს 2 ქულა ეწერება, დამარცხებულს — 0 ქულა;**

**2 და მეტი ბურთიანი სხვაობისათვის გამარჯვებულ გუნდს 2 ქულის გარდა, გატანილი გოლებისათვის პრემიალური ქულის პროცენტები ემატებათ (წაგებულ გუნდებს კი აკლდებათ და მინუსებში გადიან):**

**2 და 3 ბურთიანი სხვაობისათვის — ქულის 25-25 %;**
**4 და 5 ბურთიანი სხვაობისათვის — ქულის 15-15 %;**
**6 და 7 ბურთიანი სხვაობისათვის — ქულის 10-10 %;**
**8 და შემდგომი სხვაობისათვის — ქულის 5-5 %;**

**შესაბამისად, გამარჯვებულ და დამარცხებულ გუნდებს ექნებათ:**

**ერთბურთიანი სხვაობით დამთავრებული მატჩისათვის — 2 და 0 ქულა;**
**ორბურთიანისათვის — 2,25 და — 0,25 ქულა;**
**სამბურთიანისათვის — 2,50 და — 0,50 ქულა;**
**ოთხბურთიანისათვის — 2,65 და — 0,65 ქულა;**
**ხუთბურთიანისათვის — 2,80 და — 0,80 ქულა;**
**ექვსბურთიანისათვის — 2,90 და — 0,90 ქულა;**
**შვიდბურთიანისათვის — 3,0 და — 1,0 ქულა;**
**რვაბურთიანისათვის — 3,05 და — 1,05 ქულა.**

ყოველი შემდგომი სხვაობისათვის გუნდებს ემატებათ და აკლდებათ ქულის 5-5 %.

შეიძლება განსხვავებული ქულის პროცენტების დაწერა: მეორე ბურთისათვის — 30 %, მესამესთვის — 25 %, მეოთხესათვის — 20 %, მეხუთესთვის — 15 %, მეექვსესთვის — 10 %, მეშვიდე და შემდეგი ბურთებისთვის — 5-5 %.

შეფასების ამ ახალი წესის დამკვიდრების შემდეგ, ბრძოლა თამაშის ბოლო წუთებამდე და თითოეული ბურთისათვის გაგრძელდება.

**გიორგი ყორღესაშვილი**





ელდარ მალხაზიშვილის ფოტო

# „ტორპედოს" იმერული ესკიზები

**დინამო (თბილისი) — ტორპედო (ქუთაისი) 0-2**

*1 ოქტომბერი. ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი.*

***დინამო (თბ):*** ზოიძე, შავგულიძე (კანდელაკი, 74), ამისულაშვილი, ვაშაკიძე, შაშიაშვილი, სახვაძე, მანწკავა (სვანაძე 71), ბურდული, დარასელია, მიკუჩაძე (გ. მიქაძე 46), ბობოხიძე.

***ტორპედო:*** გვარამაძე, აბრამიძე, ხვადაგიანი, მახვილაძე, თოდუა, დიდავა, ლ. სილაგაძე, ქემოკლიძე, იონანიძე (ბაბუნაშვილი 85), პოროშინი (გვირჯიშვილი 90), ქუთათელაძე (ახალკაცი 56).

*გოლები:* 0-1, 0-2 პოროშინი (38, 66).

*გააფრთხილეს:* ბურდული (57), თოდუა (61), პოროშინი (63).

*მსაჯი:* ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

დავით ყიფიანის სახელი კვლავ გაისმა ეროვნულზე (კიდევ მრავალჯერ გაიჟღერებს!). გუშინ, მეცხრე ტურის უმთავრეს შეხვედრაში, მისი ყოფილი ორი გუნდი ეპაექრებოდა ერთმანეთს. მაყურებელმა კვლავ პატივი მიაგო დიდი ფეხბურთელის ხსოვნას წუთიერი დუმილით და თამაშიც დაიწყო. თავდაჯერებული, საკუთარ ძალაში და ტაქტიკურ განსწავლულობაში დარწმუნებული გავიდა მინდორზე „ტორპედო". ლიდერმა ამბიციურ „დინამოს" საფუძვლიანად გადაუკეტა კარისკენ სავალი გზები, თავად კი კარგად გათვლილი კონტრიერიშებით ცდილობდა მასპინძელთა კარის დალაშქვრას, რაც ჩინებულად გამოუვიდა კიდეც. 38-ე წუთზე, მანამდე მშვიდად მიმდინარე მატჩი, უეცრად გამოცოცხლდა: იონანიძის საჯარიმოში ჩაკიდებულ ბურთს პირველი ქუთათურთა ლეგიონერი ანდრეი პოროშინი მისწვდა მაღალი ნახტომით და თავით გადააგზავნა ბურთი „დინამოს" კარში. თავით, თუ ხელითო... ატყდა ჩოჩქოლი ტრიბუნებზე და მინდორზე, მისცვივდნენ თბილისელები არბიტრს. სერგო კვარაცხელია შეუვალი იყო, დინამოელთა პროტესტმა არ გასჭრა, გოლი ჩაითვალა. ეკვეთა „დინამო" „ტორპედოს" თუმცა, პირველი ტაიმის ბოლომდე, განსაკუთრებით სახიფათო მასპინძლებმა ვერაფერი შექმნეს.

მეორე ტაიმი ოსტატობის დემონსტრირებით დაიწყო. დარასელიას შესანიშნავად შესრულებული საჯარიმო დარტყმა, შესანიშნავი ნახტომით მოიგერია გვარამაძემ. ეს ეპიზოდი ფაქტობრივად ერთადერთი სერიოზული შეტევა იყო დინამოელთაგან. სტუმრებმა მასპინძლებს კარში ხეირიანად აღარ დაარტყმევინეს, თავად კი ისევ იონანიძე — პოროშინის შეწყობილი თამაშით განიმტკიცეს რწმენა და მატჩიც დამსახურებულად მოიგეს. „ტორპედო" კვლავ დაუმარცხებელი და მიუწვდომელია მეტოქეებისათვის.

მიხეილ საბახტარიშვილი

საქართველოს XIII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა • IX ტური

## პირველი ლიგა. VIII ტური

თორი — თსუ 0-3
ლაზიკა — ლოკომოტივი-3 1-1
ცხინვალი — მილანი 2-2
მერანი-2 — ლოკომოტივი (სამტრ) 3-1
დინამო2 — კოლხეთი (ხ) 1-0
დილა — ქობულეთი 1-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **დილა** | 8 | 7 | 1 | 0 | 22-1 | 22 |
| **მილანი** | 8 | 5 | 2 | 1 | 18-5 | 17 |
| **ქობულეთი** | 8 | 5 | 1 | 2 | 7-6 | 16 |
| **ცხინვალი** | 8 | 4 | 2 | 2 | 16-9 | 14 |
| **დინამო2(თბ)** | 8 | 4 | 0 | 4 | 9-9 | 12 |
| **თსუ** | 8 | 3 | 2 | 3 | 11-8 | 11 |
| **ლოკომოტ.3** | 8 | 2 | 4 | 2 | 12-13 | 10 |
| **ლაზიკა** | 8 | 2 | 2 | 4 | 7-16 | 8 |
| **კოლხეთი (ხ)** | 8 | 1 | 5 | 2 | 4-7 | 8 |
| **მერანი2** | 8 | 2 | 1 | 5 | 5-10 | 7 |
| **ლოკომ.(სამ.)** | 8 | 1 | 2 | 5 | 5-14 | 5 |
| **თორი** | 8 | 1 | 0 | 7 | 4-21 | 3 |

# „მერანმა" შევარდენზე გადაინაცვლა

*სტადიონი „შევარდენი"*

**მერანი — სამგურალი 4-0**

**მერანი:** გ. გაბელია, გოგიტაძე, გუჯაბიძე, ცქიფურიშვილი (გ. ხიზანიშვილი 83), დევიძე, დავითაშვილი, ბაჯელიძე, გაგუა, ი. შენგელია, ბოლქვაძე (ივეჩიანი 74). მუხინი (კვეკვესკირი 34).

**სამგურალი:** ბოდოკია, ბერაძე, ჯინჭარაძე, ბანძელაძე, ჭელიძე (ცომაია 57), ვაჩიბერაძე, ნებიერიძე (ციკვიძე 46), ღონღაძე, კ. ჯანაშია, ხუნდაძე, მიქაძე (ჯიქია 63).

*გოლები:* 1-0, 2-0 შენგელია (2,30), 3-0 დავითაშვილი (49), 4-0 ბოლქვაძე (55).

*გააფრთხილეს:* მუხინი (14), ჭელიძე (26), კვეკვესკირი (84)

*მსაჯი:* ა. მეშკოვი (თბილისი).

მატჩი ისე წარიმართა, როგორც გუნდების სატურნირო მდგომარეობას შეეფერება. ავჭალიდან ნავთლუღში გადასახლება მოუხდა „მერანს". თბილისელების უპირატესობა თავიდანვე გამოიკვეთა. პირველივე შეტევა გოლით დაასრულეს მერანელებმა. ირაკლი შენგელია საუცხოოდ გაისარჯა მეტოქის საჯარიმოში და ბოდოკიას აუღებელი დაურტყა. მასპინძლებს შეტევები არ შეუნელებიათ, ფაქტობრივად, მინდორზე ერთი გუნდი ჩანდა და მატჩიც იმან მოიგო, ვინც კონკრეტულ სიტუაციაში უფრო ძლიერი იყო. ავჭალელები გაცილებით უკეთ გამოიყურებოდნენ ამჯერად, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ „სამგურალმა" სათანადო წინააღმდეგობა მეტოქეს ვერ გაუწია. როცა ანგარიში 4-0 იყო მერანელთა სასარგებლოდ, მხოლოდ მაშინ შეძლეს სტუმრებმა რამდენიმე გააზრებული შეტევის განხორციელება, ერთხელ ბურთი ძელსაც მოხვდა, სხვა ეპიზოდებში თავი თბილისელთა მთავარი მწვრთნელის ოთარ გაბელიას ვაჟმა გიორგიმ გამოიჩინა, თავდამსხმელებს გოლი არ გაატანინა. ამ გამარჯვებით „მერანმა" ხასიათი ოდნავ გამოიკეთა და დროებით ცხრილში მეორე ადგილზე მოკალათდა.

საბა ლომინაძე

# დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით ქართული ფეხბურთის განვითარებაში, ახალგაზრდებს შორის მის პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და მაღალი პროფესიონალიზმისათვის ღირსების ორდენით დაჯილდოვდნენ საქართველოს ვეტერანი ფეხბურთელები:

***ვლადიმერ გუცაევი*** — ქუთაისის სპორტულ კლუბ „ტორპედოს" მენეჯერი, მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი; ***გელა კეტაშვილი*** — სპორტის დამსახურებული ოსტატი, ოლიმპიური ჩემპიონი ფეხბურთში; ***არჩილ კილაძე*** — სპორტის ოსტატი; ***თენგიზ კუბლაშვილი*** — საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი; ***დათო მუჯირი*** — თბილისის საფეხბურთო კლუბ „ოლიმპიკის" მწვრთნელი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი; ***კარლო მჭედლიძე*** — თბილისის საფეხბურთო კლუბ „ოლიმპიკის" პრეზიდენტი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი; ***ილია რუხაძე*** — სპორტის ოსტატი; ***ზაურ სვანაძე*** — თბილისის სპორტსაზოგადოება „შევარდენის" მწვრთნელი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი; ***თენგიზ სულაქველიძე*** — თბილისის საფეხბურთო აკადემიის პრეზიდენტი; ***ალექსანდრე ჩივაძე*** — საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, სპორტის დამსახურებული ოსტატი; ***გრიგოლ ცააძა*** — თბილისის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის „ფეხბურთი ბავშვებს" პრეზიდენტი; სპორტის ოსტატი; ***ავთანდილ ხელაძე*** — საფეხბურთო სკოლა „ავაზას" უფროსი მეთოდისტი, სპორტის ოსტატი; ***ნოდარ ხიზანიშვილი*** — თბილისის „ნორჩი დინამოელის" მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი; ***შოთა ხინჩაგაშვილი*** — საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ნაკრები გუნდების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ე. შევარდნაძე

# ტექნიკური შედეგები

***ვიტ ჯორჯია — კოლხეთი-1913 1-1***

***ვიტ ჯორჯია:*** მამარდაშვილი, დ. დოლიძე, ა. ინწკირველი, (გოჩაშვილი 74), თ. კობიაშვილი, ჯ. მუჯირი, ლაშა ნოზაძე, თედორაძე, გოგობერიშვილი, სვანიძე (ზ. მეტრეველი), ადამია, წუწუნავა (მ. ცქიფურიშვილი 88).

***კოლხეთი:*** მ. გვასალია, ტორჩინავა, გოროზია (ქობულაძე 75), ქუტიძე, მიქელთაძე, ფანჩულიძე, კვირკველია (აკობია 69), კ. კვეტენაძე (კრასოვსკი 89), ე. გვასალია, მუმლაძე, წივწივაძე.

*გოლები:* 1-0 ადამია (44), 1-1 ფანჩულიძე (53).

83-ე წუთზე პენალტი ვერ გაიტანა გოგობერიშვილმა.

*გააფრთხილეს:* წუწუნავა (27), კ. კვეტენაძე (29).

*გააძევეს:* დ. დოლიძე (67), ფანჩულიძე (67).

*მსაჯი:* კ. მესხი (ზუგდიდი).

***დინამო (ბთ) — სიონი 1-0***

***დინამო (ბთ):*** ჭანტურია, ჩიჩუა, მინდაძე, არჩვაძე, ზვ. გვაზავა, ქაცარავა, შ. ხუჯაძე, მაჭუტაძე, დარჩიძე (კობიძე 86), თურმანიძე, შ. აფხაზავა (ცინარიძე 85).

***სიონი:*** ვოლკოვი, სიდამონიძე, ირემაშვილი, კარიაული (მინდიაშვილი 54), პაპიძე, ბარნოვი (კ. გოდერძიშვილი 82), ამბიძე, მოსეშვილი (დ. სვანიძე 64), ბ. შენგელია, ისიანი, დაუშვილი.

*გოლი:* 1-0 დარჩიძე (48)

*გააფრთხილეს:* დაუშვილი (41), ქაცარავა (69), კობიძე (89), დ. სვანიძე (89).

*მსაჯი:* მ. მაისურაძე (თბილისი).

***მეტალურგი — გურია 0-0***

***მეტალურგი:*** ოდიკაძე, მაღლაკელიძე, მერებაშვილი, კრავეიშვილი, ფირცხალაიშვილი (ხმალაძე 79), მემარნიშვილი, მოსულიშვილი (ქურციკიძე 65), გეწაძე, გოგაძე, გურეშიძე, ორმოცაძე.

***გურია:*** გ. დოლიძე, კაციაშვილი, ებრალიძე, გაბრიჭიძე, ფაცურია, განევი, ხუჭუა (სულაკაძე 68), ორბელაძე, კ. მეტრეველი, მარღიშვილი, ენდელაძე (დ. ოდიკაძე 50).

*გააფრთხილეს:* კაციაშვილი (13).

*მსაჯი:* დ. სანაია (სოხუმი).

***გორდა — ლოკომოტივი 0-2.***

# ექვსეულის კონტურები

(მიმოხილვა)

კვირას ჩატარებულმა მატჩებმა საუკეთესო ექვსეულის კონტურები წარმოაჩინა. თუმცა, მთლიანად პირველი ეტაპის დასრულებამდე ჯერ ძალიან შორია და შეიძლება სატურნირო ვითარება შეიცვალოს კიდეც, მაგრამ ცვლილება კარდინალური ხასიათის, ალბათ არ იქნება. ჩემპიონატს ჰყავს ლიდერი, მისი მდევრები და ისეთი გუნდებიც, მცირედითაც კმაყოფილნი რომ არიან ხოლმე, ამას აუტსაიდერებზე მოგახსენებთ. „შევარდენზე" გამართული შეხვედრის გარდა, სექტემბრის ბოლო დღეს კიდევ სამი მატჩი იპყრობდა გულშემატკივართა ყურადღებას. ვეტერინართა მთავარი მწვრთნელის რანგში ბოლო შეხვედრას უძღვებოდა ჯანი კარნევალი, მაგრამ იტალიელს არ გაუმართლა, „ვიტ ჯორჯიამ" დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერ მოუგო „კოლხეთს". მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვა ბათუმის „დინამომ" და კვლავ მოწინავეთა რიგებშია. მაჩანჩალათა ზესტაფონში გამართულმა შერკინებამ, ვერც მასპინძლებს, ვერც სტუმრებს შვება ვერ მოჰგვარა. მატჩი ფრედ დამთავრდა და „მეტალურგი" ლიგაში ერთადერთ გუნდად რჩება, რომელსაც გამარჯვების სიხარული ჯერ არ უგემია.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ტორპედო** | 9 | 8 | 1 | 0 | 22-2 | 25 |
| **ლოკომოტივი** | 9 | 7 | 0 | 2 | 20-6 | 21 |
| **მერანი** | 9 | 6 | 1 | 2 | 15-11 | 19 |
| **დინამო (ბთ)** | 9 | 5 | 2 | 2 | 12-5 | 17 |
| **კოლხ.1913** | 9 | 4 | 2 | 3 | 18-14 | 14 |
| **დინამო(თბ)** | 9 | 4 | 1 | 4 | 18-10 | 13 |
| **ვიტ ჯორჯია** | 9 | 3 | 3 | 3 | 12-11 | 12 |
| **სიონი** | 9 | 2 | 2 | 5 | 5-17 | 8 |
| **სამგურალი** | 9 | 2 | 1 | 6 | 7-18 | 7 |
| **გურია** | 9 | 1 | 4 | 4 | 5-10 | 7 |
| **გორდა** | 9 | 1 | 2 | 6 | 7-20 | 5 |
| **მეტალურგი** | 9 | 0 | 3 | 6 | 3-20 | 3 |

# მწვრთნელები სემინარზე

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მწვრთნელთა განათლების დირექტორი გაიოზ დარსაძე პრაქტიკულ საქმიანობას შეუდგა. 5 ოქტომბერს „ლოკომოტივის" სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში, 12 საათზე, იგი უმაღლესი და პირველი ლიგის კლუბების მთავარ მწვრთნელებს მოიწვევს და სექტემბერში უეფას მწვრთნელთა განათლების დირექტორთა ზაგრების კონფერენციის შედეგებს გააცნობს. ერთდღიან სემინარზე მისი მოხსენების თემაა: „მწვრთნელი დღეს და ხვალ".

# ნომრიდან — ნომრამდე!

● **ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲘᲓᲐᲜ** გადადგა ბელგიის I დივიზიონის კლუბ „ლა ლუვერის" მწვრთნელი დანიელ ლეკლერკი. ეს ის კაცია ადრე საფრანგეთის „ლენსს" რომ ედგა სათავეში. ახლა კლუბიდან მისი წასვლის მიზეზი ის გახდა, რომ „ლა ლუვერმა" ბოლო 7 მატჩში მხოლოდ ერთი ქულა აიღო და ცხრილში მე-17 ადგილზეა. როგორც ცნობილია, არგენტინამ ქვეყნის ყველა საფეხბურთო ნაკრებიდან ამოიღო №10 დიეგო მარადონას საპატივცემლოდ. ახლა იგივე სურს გააკეთოს ბრაზილიამ და №10 სამუდამოდ დარჩეს მხოლოდ პელეს, თუ ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებენ, ამით პატივს მიაგებენ არა მხოლოდ პელეს, როგორც ფეხბურთის მეფეს, არამედ მთელ ბრაზილიურ ფეხბურთს" — წერს გაზეთი „Jornal do Rzazil"-ი.

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

● **ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ** ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა როჟე ლემერმა ქვეყნის ნაკრებში დააბრუნა მსოფლიოს სამი ჩემპიონი — დიუგარი, ჯორკაეფი და კარამბე. პირველ მატჩს ისინი ჩაატარებენ ალჟირელებთან. ეს მატჩი ამხანაგურია და პარიზში გაიმართება 6 ოქტომბერს. ამასთან, ეროვნული ნაკრების მიღმა დარჩნენ მარლე, ანელკა, მიკუ და ლეტიზი.

● **ბულგარეთის** ნაკრებისა და შოტლანდიის „სელტიკის" ფეხბურთელს სტილიან პეტროვს, მიუხედავად იმისა, რომ კონტრაქტის ვადის ამოწურვამდე კლუბში 2 წელი რჩება, „სელტიკის" მწვრთნელი მარტინ ო'ნილის თქმით, ამ ფეხბურთელს გაუმჯობესებული პირობებით აქედანვე გაფორმდება კონტრაქტი ახალი ვადით.


ეფენბერგი

● **ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ** გახდა, რომ ეფენბერგი მემუარების წერას აპირებს, მას შემდეგ, რაც ფეხბურთს თავს გაანებებს და მუდმივ საცხოვრებლად გადავა ამერიკაში. „ხალხს ჩემზედ შეექმნა ცუდი შთაბეჭდილება, მაგრამ დადგება დრო და სიმართლეს დავწერ თუ რა დაედო საფუძვლად ამ ზიზღს" — ამბობს 33 წლის ფეხბურთელი.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

# აზია

### A ჯგუფი

ერაყი — ბაჰრეინი 1-0
საუდის არაბეთი — ირანი 2-2

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **საუდის არაბეთი** | 6 | 3 | 2 | 1 | 11-6 | 11 |
| **ირანი** | 5 | 2 | 3 | 0 | 6-3 | 9 |
| **ერაყი** | 6 | 2 | 1 | 3 | 7-6 | 7 |
| **ბაჰრეინი** | 6 | 1 | 3 | 2 | 4-7 | 6 |
| **ტაილანდი** | 5 | 0 | 3 | 2 | 3-9 | 3 |

*მომდევნო ტური:*
*5 ოქტომბერი:* ირანი — ტაილანდი, ერაყი — საუდის არაბეთი

### B ჯგუფი

საემიროები — ჩინეთი 0-1
ყატარი — უზბეკეთი 2-2

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ჩინეთი** | 5 | 4 | 1 | 0 | 9-1 | 13 |
| **ყატარი** | 6 | 2 | 3 | 1 | 9-5 | 9 |
| **უზბეკეთი** | 6 | 2 | 1 | 3 | 10-10 | 7 |
| **საემიროები** | 6 | 2 | 1 | 3 | 6-8 | 7 |
| **ომანი** | 5 | 0 | 2 | 3 | 1-11 | 2 |

*მომდევნო ტური:*
*4 ოქტომბერი:* ყატარი — საემიროები
*7 ოქტომბერი:* ჩინეთი — ომანი

## ნომრიდან — ნომრამდე!

● მიუნხენის „ბავარიის" ვიცე-პრეზიდენტმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ განაცხადა, რომ მიუხედავად იმისა, თუ როგორ დამთავრდება 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი, გერმანიის ნაკრების სათავეში კვლავ უნდა დარჩეს რუდიფიოლერი. „ფინალურ ეტაპზე გაუსვლელობა ნამდვილი კატასტროფა იქნება, მაგრამ ამაში დამნაშავე არ იქნება ფიოლერი" — დასძენს რუმენიგე.

● **მინიფეხბურთის პელედ წოდებული კონსტანტინ ერემენკო სერიოზული ავადმყოფობის გამო სპორტის საყვარელ სახეობას სამუდამოდ გამოეთხოვება 5 ნოემბერს მსოფლიოს ნაკრებთან მატჩში. ავადმყოფობის მიზეზი გახდა გულის დაავადება. 1132 გოლის გამტანს, ბოლო ხანებში თამაშებზე ექიმთა მთელი ბრიგადა ადევნებდა თვალყურს და მზად ჰქონდათ გულის გაჩერების შემთხვევისთვის ელექტროშოკი. მისი სურვილია ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ სკოლებში დანერგოს ახალი საგანი „ფუტზალი".**

● ბოლო ხანებში რას აღარ მიმართავენ სტადიონებზე წესრიგის დასაცავად. იტალიის პოლიციელთა კავშირი ამ დღეებში თხოვნით შევიდა შინაგან საქმეთა სამინისტროში, რათა იტალიის ავტოსტრადების გაყოლებაზე ვაჭრობიდან ამოიღონ დანები და კეტბურთის კეტები. განსაკუთრებით აგრესიული ტიფოზები სწორედ ამ „ცივ იარაღს" იყენებენ ვნებების დასაოკებლად — ზოგი ბოლმის დასაოკებლად ხულიგნობს, ზოგიც — სიხარულით თრობისას.

## UEFA CUP — უეფას თასი

# 1/32 ფინალი

*(18 ოქტომბერი და 1 ნოემბერი)*

***I ჯგუფი:***

როდა (ჰოლანდია) — მაკაბი (თელ-ავივი)
ლეგია — (პოლონეთი) — ვალენსია (ესპანეთი)
სტ. გალენი (შვეიცარია) — ფრაიბურგი (გერმანია)
ბორდო (საფრანგეთი) — სტანდარდი (ბელგია)
ფიორენტინა (იტალია) — ტიროლი (ავსტრია)
იფსვიჩი (ინგლისი) — ჰელსინბორგი (შვედეთი)

***II ჯგუფი:***

პსჟ (საფრანგეთი) — რაპიდი (ავსტრია)
უნიონი (გერმანია) — ლიტექსი (ბულგარეთი)
კოპენჰაგენი (დანია) — აიაქსი (ჰოლანდია)
ინტერი (იტალია) — ვისლა (პოლონეთი)
პაოკი (საბერძნეთი) — პრჟიბრამი (ჩეხეთი)
რეინჯერსი (შოტლანდია) — დინამო (მოსკოვი)

***III ჯგუფი:***

ჰალმსტადი (შვედეთი) — სპორტინგი (პორტუგალია)
სარაგოსა (ესპანეთი) — სერვეტი (შვეიცარია)
ლიდსი (ინგლისი) — ტრუა (საფრანგეთი)
ცსკა (უკრაინა) — ბრიუგე (ბელგია)
უტრეხტი (ჰოლანდია) — პარმა (იტალია)
ოსიეკი (ხორვატია) — აეკი (საბერძნეთი)

***IV ჯგუფი:***

ვიკინგი (ნორვეგია) — ჰერტა (გერმანია)
გრასჰოპერი (შვეიცარია) — ტვენტე (ჰოლანდია)
ბრონდბიუ (დანია) — ვარტექსი (ხორვატია)
ჰაპოელი (თელ-ავივი) — ჩელსი (ინგლისი)
სელტა (ესპანეთი) — ლიბერეცი (ჩეხეთი)
მილანი (იტალია) — ცსკა (ბულგარეთი)

## თქვენთვის, ერუდიტებო!

***1. რამდენ წუთში გაიტანა 4 ბურთი ეისებიომ 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედ ფინალურ შეხვედრაში:***
ა) 69
ბ) 43
გ) 56

***2. ვინ გაიტანა ერთადერთი საპასუხო ბურთი ბრაზილიელთა კარში 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში იტალიელთა მხრიდან (ბრაზილია — იტალია 4-1):***
ა) რივა
ბ) მაცოლა
გ) ბონისენია

***3. 1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ სტადიაში რომელი ქვეყნის ფეხბურთელი იქნა დისკვალიფიცირებული დოპინგის გამოყენებისთვის:***
ა) ჰაიტი
ბ) ზაირი
გ) ჰოლანდია

***4. ვინ გაიტანა საიუბილეო მე-1000 გოლი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ სტადიაში:***
ა) რენსენბრინკი
ბ) კემპესი
გ) დირსეუ

***5. რა ერქვა 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატის თილისმას:***
ა) ხუანიტო
ბ) გაუჩიტო
გ) ნარანხიტო

წინა ნომრის პასუხები:
1 — ა, 2 — გ, 3 — ბ, 4 — ა, 5 — ბ.

# საიუბილეო ტურნირი

„ნორჩი დინამოელის" 50 წლისთავს მიეძღვნა 1989 წელს დაბადებულ ჭაბუკთა საფეხბურთო ტურნირი. თბილისიდან მონაწილეობდნენ: „ნორჩი დინამოელის", ორი გუნდი, „ავაზა", „ორბი", „თბილისი", „მეტეხი", ბათუმის „დინამო" და ფოთის „ფაზისი".

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ „ნორჩი დინამოელი-89" (მწვრთნელი გოჩა ხიტირი, სკოლის დირექტორი ოთარ გეგეჭკორი) და ფოთის „ფაზისი" (მწვრთნელი ზაზა ინიაშვილი). 4-0 გაიმარჯვეს თბილისელებმა.



I ადგილზე გასული «ნორჩი დინამოელი-89»

რობერტ ბაგოიანის ფოტო

# ჭაბუკთა ფეხბურთი



«შევარდენი-2» — I ადგილი



«რომა» — II ადგილი

# შევარდნელები შევარდნობენ!

„შევარდენის" სტადიონზე ჩატარდა აფხაზეთში ტრაგიკულად დაღუპული მწვრთნელ-მასწავლებლის გია შიხიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი მეცხრე ტურნირი ფეხბურთში 1991-92 წელს დაბადებულ ჭაბუკებს შორის. მონაწილეობდა 10 გუნდი. ტურნირში პირველობა მოიპოვა „შევარდენი-2"-ის გუნდმა (მწვრთნელი ვახტანგ ჩიმაკაძე), მეორე ადგილზე გავიდა თბილისის „რომა" (მწვრთნელები რომა მელიქიძე, გოგა ჩილაჩავა), მესამე ადგილი მიეკუთვნა შევარდენის ორ გუნდს.

ტურნირში გამოვლინდნენ პერსპექტიული ფეხბურთელები. საუკეთესო მეკარე იმედა წიქარიშვილი, მცველი — ვახტანგ გორგიშვილი (ორივე — „შევარდენი-1"), ნახევარმცველი — ზვიად გულიტაშვილი, თავდამსხმელი — ოთარ მეუნარგია (ორივე — „რომა"), ბომბარდირი — ლევან მინაშვილი („შევარდენი-2"), ყველაზე ნორჩი მონაწილის პრიზი გადაეცა ირაკლი ხასაიას („შევარდენი-92"), მაყურებელთა სიმპათიისა — გიორგი ვაშაკიძეს („შევარდენი-92"). ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა დიმიტრი გლაზოვი („შევარდენი-2").

გამარჯვებულ გუნდს პრიზი გადასცა გია შიხიაშვილის დამ — მარინა შიხიაშვილმა. ტურნირი ჩატარდა მაღალ ორგანიზაციულ დონეზე, რაშიაც დიდია „შევარდენი-1906"-ის დირექციის, კლუბის პრეზიდენტის მალხაზ გუგავას და სკოლის დირექტორის ბადრი მაწკავას დამსახურება *(რობერტ ბაგოიანის ფოტოები)*.



III ადგილი «შევარდენის» ამ ორ გუნდს მიენიჭა



# ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები...

## გერმანია

ვოლფსბურგი — კაიზერსლაუტერნი 2-0
ჰერტა — კიოლნი 3-0
ნიურნბერგი — ჰამბურგი 0-0
ვერდერი — მონხენგლადბახი 1-0
სტ. პაული — დორტმუნდი 1-0
შალკე — კოტბუსი 2-0
ჰანზა — მიუნხენი 2-2
ბაიერნი — შტუტგარტი 4-0
ლევერკუზენი — ფრაიბურგი 4-1

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| კაიზერი | 8 | 7 | 0 | 1 | 20-9 | 21 |
| ბაიერნი | 8 | 6 | 1 | 1 | 16-2 | 19 |
| ლევერკუზენი | 8 | 5 | 3 | 0 | 18-8 | 18 |
| დორტმუნდი | 8 | 5 | 1 | 2 | 13-5 | 16 |
| შალკე | 8 | 4 | 2 | 2 | 11-9 | 14 |
| შტუტგარტი | 8 | 3 | 3 | 2 | 8-9 | 12 |
| ჰერტა | 8 | 3 | 2 | 3 | 11-11 | 11 |
| ვერდერი | 8 | 3 | 2 | 3 | 11-11 | 11 |
| მიუნხენი | 8 | 3 | 2 | 3 | 10-13 | 11 |
| კოტბუსი | 8 | 3 | 2 | 3 | 10-13 | 11 |
| მიონხენგლად. | 8 | 2 | 3 | 3 | 10-10 | 9 |
| ფრაიბურგი | 8 | 2 | 2 | 4 | 9-12 | 8 |
| კიოლნი | 8 | 2 | 2 | 4 | 7-11 | 8 |
| ნიურნბერგი | 8 | 2 | 1 | 5 | 6-11 | 7 |
| ჰამბურგი | 8 | 1 | 3 | 4 | 9-14 | 6 |
| ვოლფსბურგი | 8 | 1 | 3 | 4 | 9-15 | 6 |
| ჰანზა | 8 | 1 | 3 | 4 | 6-13 | 6 |
| სტ. პაული | 8 | 0 | 3 | 5 | 5-13 | 3 |

## ინგლისი

ბოლტონი — სანდერლენდი 0-2
ჩარლტონი — ლესტერი 2-0
დერბი — არსენალი 0-2
ევერტონი — ვესტ ჰემი 5-0
მიდლსბრო — საუთჰემპტონი 1-3
ტოტენჰემი — მანჩესტერი 3-5
ფულემი — ჩელსი 1-1
ნიუკასლი — ლივერპული 0-2
ასტონ ვილა — ბლექბერნი 2-0
იფსვიჩი — ლიდსი 1-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიდსი | 7 | 5 | 2 | 0 | 11-2 | 17 |
| არსენალი | 7 | 4 | 2 | 1 | 16-5 | 14 |
| მანჩესტერი | 7 | 4 | 2 | 1 | 2-13 | 14 |
| ასტონ ვილა | 6 | 3 | 3 | 0 | 9-3 | 12 |
| ბოლტონი | 8 | 3 | 3 | 2 | 10-6 | 12 |
| ლივერპული | 6 | 4 | 0 | 2 | 10-7 | 12 |
| სანდერლენდი | 8 | 3 | 3 | 2 | 8-7 | 12 |
| ნიუკასლი | 7 | 3 | 2 | 2 | 11-11 | 11 |
| ჩელსი | 6 | 2 | 4 | 0 | 10-7 | 10 |
| ევერტონი | 7 | 3 | 1 | 3 | 12-10 | 10 |
| ბლექბერნი | 8 | 2 | 3 | 3 | 8-10 | 9 |
| ჩარლტონი | 6 | 2 | 2 | 2 | 7-7 | 8 |
| ტოტენჰემი | 8 | 2 | 2 | 4 | 11-13 | 8 |
| ფულემი | 7 | 1 | 4 | 2 | 7-8 | 7 |
| მიდლსბრო | 8 | 2 | 1 | 5 | 8-17 | 7 |
| საუთჰემპტონი | 6 | 2 | 0 | 4 | 5-10 | 6 |
| იფსვიჩი | 7 | 1 | 2 | 4 | 6-11 | 5 |
| ვესტ ჰემი | 6 | 1 | 2 | 3 | 4-9 | 5 |
| დერბი | 7 | 1 | 2 | 4 | 5-12 | 5 |
| ლესტერი | 8 | 1 | 2 | 5 | 5-17 | 5 |

## იტალია

იუვენტუსი — რომა 0-2
ბრეშა — ატალანტა 3-3
ფიორენტინა — ვენეცია 3-1
ინტერი — ბოლონია 1-0
პერუჯა — მილანი 3-1
პიაჩენცა — ტორინო 3-1
უდინეზე — კიევო 1-2
ვერონა — ლეჩე 2-1
ლაციო — პარმა 0-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 5 | 4 | 1 | 0 | 10-4 | 13 |
| კიევო | 5 | 4 | 0 | 1 | 12-6 | 12 |
| იუვენტუსი | 5 | 3 | 1 | 1 | 9-4 | 10 |
| მილანი | 5 | 3 | 1 | 1 | 12-8 | 10 |
| ბოლონია | 5 | 3 | 0 | 2 | 3-3 | 9 |
| რომა | 5 | 2 | 2 | 1 | 6-5 | 8 |
| ვერონა | 5 | 2 | 2 | 1 | 5-4 | 8 |
| პიაჩენცა | 5 | 2 | 1 | 2 | 9-8 | 7 |
| ბრეშა | 5 | 1 | 3 | 1 | 9-8 | 6 |
| ლეჩე | 5 | 1 | 3 | 1 | 5-5 | 6 |
| პარმა | 5 | 1 | 3 | 1 | 4-4 | 6 |
| ფიორენტინა | 5 | 2 | 0 | 3 | 9-11 | 6 |
| უდინეზე | 5 | 1 | 2 | 2 | 7-8 | 5 |
| პერუჯა | 5 | 1 | 2 | 2 | 6-8 | 5 |
| ლაციო | 5 | 0 | 4 | 1 | 1-3 | 4 |
| ატალანტა | 5 | 1 | 1 | 3 | 5-9 | 4 |
| ტორინო | 5 | 0 | 2 | 3 | 4-9 | 2 |
| ვენეცია | 5 | 0 | 0 | 5 | 2-11 | 0 |

## საფრანგეთი

გენგამი — მარსელი 1-0
ბასტია — მონაკო 1-0
ლანსი — ოსერი 1-1
ლიონი — რენი 4-0
მონპელიე — ლორიანი 1-3
ნანტი — მეცი 0-0
სედანი — ლილი 1-1
ტრუა — სოშო 2-2
ბორდო — პსჟ 1-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 9 | 6 | 1 | 2 | 17-6 | 19 |
| ოსერი | 9 | 5 | 4 | 0 | 15-6 | 19 |
| ლილი | 9 | 5 | 4 | 0 | 11-5 | 19 |
| ლანსი | 9 | 5 | 3 | 1 | 14-8 | 18 |
| სოშო | 9 | 4 | 3 | 2 | 14-11 | 15 |
| ბორდო | 9 | 3 | 4 | 2 | 5-4 | 13 |
| ბასტია | 9 | 4 | 1 | 4 | 8-8 | 13 |
| პსჟ | 9 | 2 | 6 | 1 | 10-6 | 12 |
| ლორიანი | 9 | 3 | 3 | 3 | 11-11 | 12 |
| ტრუა | 9 | 3 | 2 | 4 | 8-9 | 11 |
| გენგამი | 9 | 3 | 2 | 4 | 6-12 | 11 |
| მეცი | 9 | 3 | 1 | 5 | 6-9 | 10 |
| მონაკო | 9 | 2 | 3 | 4 | 7-9 | 9 |
| მონპელიე | 9 | 1 | 5 | 3 | 6-7 | 8 |
| სედანი | 9 | 1 | 5 | 3 | 8-12 | 8 |
| რენი | 9 | 2 | 2 | 5 | 8-12 | 8 |
| მარსელი | 9 | 1 | 4 | 4 | 4-7 | 7 |
| ნანტი | 9 | 0 | 3 | 6 | 4-14 | 3 |


ბაიერნი — შტუტგარტი

## ესპანეთი

რეალი — ვალიადოლიდი 2-2
სოსიედადი — ბარსელონა 0-2
მალაგა — ბილბაო 1-2
ესპანიოლი — რაიო 3-1
დეპორტივო — სელტა 2-2
მალიორკა — ვილიარეალი 0-1
ბეტისი — ლას პალმასი 1-0
ვალენსია — ალავესი 0-0
ტენერიფე — სარაგოსა 0-0
ოსასუნა — სევილია 1-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბეტისი | 5 | 4 | 0 | 1 | 10-4 | 12 |
| ვილიარეალი | 5 | 4 | 0 | 1 | 7-3 | 12 |
| სელტა | 5 | 3 | 2 | 0 | 10-2 | 11 |
| ბარსელონა | 5 | 3 | 2 | 0 | 7-2 | 11 |
| დეპორტივო | 5 | 3 | 1 | 1 | 11-6 | 10 |
| ბილბაო | 5 | 3 | 1 | 1 | 9-6 | 10 |
| ვალენსია | 5 | 2 | 3 | 0 | 5-3 | 9 |
| ალავესი | 5 | 2 | 2 | 1 | 6-3 | 8 |
| სევილია | 5 | 2 | 1 | 2 | 7-7 | 7 |
| ოსასუნა | 5 | 2 | 1 | 2 | 2-6 | 7 |
| ესპანიოლი | 5 | 2 | 0 | 3 | 8-12 | 6 |
| რეალი | 5 | 1 | 2 | 2 | 9-8 | 5 |
| მალაგა | 5 | 1 | 2 | 2 | 6-7 | 5 |
| სარაგოსა | 5 | 1 | 2 | 2 | 4-5 | 5 |
| ვალიადოლიდი | 5 | 1 | 2 | 2 | 5-10 | 5 |
| ლას პალმასი | 5 | 1 | 1 | 3 | 3-3 | 4 |
| ტენერიფე | 5 | 1 | 1 | 3 | 2-7 | 4 |
| მალიორკა | 5 | 1 | 1 | 3 | 1-6 | 4 |
| რაიო | 5 | 0 | 1 | 4 | 5-10 | 1 |
| სოსიედადი | 5 | 0 | 1 | 4 | 1-8 | 1 |

## ჰოლანდია

გრააფსხაპი — ბრედა 4-2
ტილბურგი — ალკმაარი 2-2
პსვ — ვიტესი 0-2
სიტარდი — ნაიმეგენი 2-2
გრონინგენი — აიაქსი 1-4
დენ ბოსხი — ფეიენოორდი 0-0
უტრეხტი — ვალვაიკი 2-1
როდა — ჰერენვენი 0-2
სპარტა — ტვენტე 1-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 6 | 5 | 1 | 0 | 13-3 | 16 |
| ვიტესი | 7 | 4 | 3 | 0 | 8-2 | 15 |
| ფეიენოორდი | 6 | 4 | 1 | 1 | 13-2 | 13 |
| ჰერენვენი | 6 | 3 | 2 | 1 | 13-4 | 11 |
| ტილბურგი | 6 | 3 | 2 | 1 | 11-7 | 11 |
| ვალვაიკი | 7 | 3 | 1 | 3 | 8-5 | 10 |
| გრააფსხაპი | 7 | 3 | 1 | 3 | 10-9 | 10 |
| ალკმაარი | 7 | 3 | 1 | 3 | 8-8 | 10 |
| დენ ბოსხი | 7 | 2 | 3 | 2 | 10-9 | 9 |
| უტრეხტი | 7 | 3 | 0 | 4 | 10-9 | 9 |
| ტვენტე | 6 | 2 | 2 | 2 | 8-9 | 8 |
| ნაიმეგენი | 7 | 2 | 2 | 3 | 7-11 | 8 |
| პსვ | 7 | 2 | 1 | 4 | 10-15 | 7 |
| ბრედა | 6 | 2 | 1 | 3 | 9-14 | 7 |
| გრონინგენი | 7 | 2 | 1 | 4 | 8-14 | 7 |
| სპარტა | 7 | 1 | 3 | 3 | 5-14 | 6 |
| სიტარდი | 7 | 1 | 2 | 4 | 5-13 | 5 |
| როდა | 7 | 1 | 1 | 5 | 6-14 | 4 |



## ბელგია

შარლერუა — ბევერენი 1-1
მოლენბეკი — ვესტერლო 0-1
სტ. ტრუიდენი — მუსკრონი 1-2
გენტი — ლუვიე 2-1
ლომელი — ანტვერპენი 2-2
ბეერსხოტი — ლიერსი 2-0
ბრიუგე — გენკი 1-2
აალსტი — ანდერლეხტი 1-5
სტანდარდი — ლოკერენი 0-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გენტი | 7 | 7 | 0 | 0 | 17-7 | 21 |
| აალსტი | 7 | 5 | 1 | 1 | 12-7 | 16 |
| ბრიუგე | 6 | 5 | 0 | 1 | 16-7 | 15 |
| გენკი | 7 | 4 | 2 | 1 | 20-12 | 14 |
| ანდერლეხტი | 6 | 3 | 2 | 1 | 15-8 | 11 |
| სტანდარდი | 6 | 3 | 2 | 1 | 8-5 | 11 |
| სტ. ტრუიდენი | 7 | 3 | 2 | 2 | 15-13 | 11 |
| შარლერუა | 6 | 3 | 2 | 1 | 7-6 | 11 |
| ბეერსხოტი | 7 | 2 | 4 | 1 | 16-11 | 10 |
| ლომელი | 7 | 3 | 1 | 3 | 14-18 | 10 |
| ლიერსი | 7 | 2 | 3 | 2 | 8-9 | 9 |
| ლოკერენი | 6 | 2 | 1 | 3 | 8-8 | 7 |
| ვესტერლო | 6 | 2 | 0 | 4 | 12-13 | 6 |
| მუსკრონი | 7 | 2 | 0 | 5 | 9-10 | 6 |
| ანტვერპენი | 7 | 1 | 2 | 4 | 9-12 | 5 |
| ბევერენი | 7 | 0 | 2 | 5 | 5-21 | 2 |
| მოლენბეკი | 7 | 0 | 1 | 6 | 5-13 | 1 |
| ლუვიე | 7 | 0 | 1 | 6 | 7-23 | 1 |

## რუსეთი

ალანია — სპარტაკი 3-3
კრილია სოვეტოვი — როსტსელმაში 3-0
ფაკელი — სატურნი 1-0
ლოკომოტივი — სოკოლი 3-0
ზენიტი — ცსკა 6-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 25 | 14 | 8 | 3 | 46-23 | 50 |
| ლოკომოტივი | 25 | 14 | 6 | 5 | 47-20 | 48 |
| ზენიტი | 25 | 13 | 7 | 5 | 46-30 | 46 |
| კრილია სოვეტ. | 25 | 12 | 7 | 6 | 32-19 | 43 |
| სატურნი | 26 | 11 | 8 | 7 | 34-18 | 41 |
| ტორპედო | 24 | 12 | 5 | 7 | 43-33 | 41 |
| ცსკა | 26 | 9 | 11 | 6 | 29-25 | 38 |
| სოკოლი | 26 | 10 | 5 | 11 | 26-38 | 35 |
| დინამო | 25 | 7 | 8 | 10 | 31-38 | 29 |
| ანჟი | 24 | 6 | 10 | 8 | 22-24 | 28 |
| ალანია | 26 | 7 | 7 | 12 | 27-38 | 28 |
| როტორი | 25 | 7 | 6 | 12 | 32-36 | 27 |
| ფაკელი | 26 | 7 | 4 | 15 | 25-39 | 25 |
| როსტსელმაში | 26 | 6 | 7 | 13 | 21-36 | 25 |
| ტორპ.ზილი | 25 | 5 | 9 | 11 | 17-31 | 24 |
| ჩერნომორეცი | 25 | 4 | 8 | 13 | 13-43 | 20 |

## ფინეთი

იორკერიტი — ჯაზი 2-2
ინტერი — ვაასა 3-2
კუოპიო — ლაჰტი 3-1
მიუპა — როვანიემი 2-0
ტამპერე — ჰაკა 1-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰიკი | 27 | 15 | 9 | 3 | 52-15 | 54 |
| მიუპა | 29 | 15 | 9 | 5 | 42-23 | 54 |
| ტამპერე | 28 | 16 | 5 | 7 | 39-31 | 53 |
| ინტერი | 29 | 14 | 4 | 11 | 41-38 | 46 |
| ჰაკა | 27 | 13 | 6 | 8 | 38-22 | 45 |
| ატლანტისი | 25 | 9 | 9 | 7 | 33-32 | 36 |
| ვაასა | 28 | 10 | 3 | 15 | 38-47 | 33 |
| ლაჰტი | 27 | 7 | 9 | 11 | 31-37 | 30 |
| კუოპიო | 27 | 7 | 8 | 12 | 25-35 | 29 |
| ჯაზი | 29 | 6 | 9 | 14 | 28-45 | 27 |
| იოკერიტი | 28 | 7 | 6 | 15 | 29-47 | 27 |
| როვანიემი | 28 | 5 | 9 | 14 | 21-39 | 24 |

## საბერძნეთი

ქსანთი — პანაჰაიკი 2-0
ოლიმპიაკოსი — პანიონიოსი 2-0
ეთნიკოსი — აკრატიტოსი 2-1
არისი — იონიკოსი 1-0
აეკი — ეგალეო 4-0
პანათინაიკოსი — ოფი 5-1
ირაკლისი — პაოკი 3-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აეკ | 2 | 2 | 0 | 0 | 6-1 | 6 |
| ოლიმპიაკოსი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-0 | 6 |
| პანათინაიკოსი | 2 | 1 | 1 | 0 | 7-3 | 4 |
| არისი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| აკრატიტოსი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| პანაჰაიკი | 2 | 1 | 0 | 1 | 5-5 | 3 |
| ქსანთი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| ირაკლისი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-4 | 3 |
| ოფი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-4 | 4 |
| ეთნიკოსი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| პაოკი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-4 | 1 |
| პანიონიოსი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-4 | 1 |
| იონიკოსი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |
| ეგალეო | 2 | 0 | 0 | 2 | 3-9 | 0 |

## ავსტრია

რიდი — ბრეგენცი 2-3
შტურმი — აუსტრია 2-1
ტიროლი — ზალცბურგი 3-0
ადმირა — გრაცერი 1-3
რაპიდი — კერნტენი 0-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტიროლი | 11 | 9 | 2 | 0 | 31-1 | 29 |
| შტურმი | 12 | 8 | 3 | 1 | 24-9 | 27 |
| გრაცერი | 13 | 6 | 3 | 4 | 26-21 | 21 |
| კერნტენი | 12 | 5 | 3 | 4 | 12-16 | 18 |
| ზალცბურგი | 13 | 4 | 4 | 5 | 11-15 | 16 |
| რაპიდი | 13 | 4 | 3 | 6 | 13-18 | 15 |
| აუსტრია | 13 | 3 | 5 | 5 | 18-20 | 14 |
| ბრეგენცი | 13 | 3 | 4 | 6 | 14-27 | 13 |
| რიდი | 13 | 2 | 6 | 5 | 20-23 | 12 |
| ადმირა | 13 | 2 | 1 | 10 | 10-29 | 7 |

## ჩეხეთი

ბოჰემიანსი — ტეპლიცე 1-0
სპარტა — იაბლონეცი 1-0
ბრნო — პრ. კრალოვე 2-1
სინოტი — ბანიკი 0-4
ბლშანი — სლავია 1-2
ოპავა — ჟიჟკოვი 0-1
პრჟიბრამი — სიგმა 1-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 9 | 7 | 0 | 2 | 17-6 | 21 |
| ბოჰემიანსი | 9 | 6 | 2 | 1 | 13-4 | 20 |
| ბანიკი | 9 | 5 | 2 | 2 | 16-9 | 17 |
| ჟიჟკოვი | 8 | 5 | 1 | 2 | 13-7 | 16 |
| სლავია | 9 | 5 | 1 | 3 | 17-13 | 16 |
| ბრნო | 9 | 3 | 4 | 2 | 11-10 | 13 |
| ლიბერეცი | 7 | 3 | 3 | 1 | 11-8 | 12 |
| იაბლონეცი | 9 | 3 | 3 | 3 | 9-8 | 12 |
| სინოტი | 9 | 3 | 3 | 3 | 7-10 | 12 |
| დრნოვიცე | 8 | 3 | 1 | 4 | 11-11 | 10 |
| ბლშანი | 9 | 3 | 1 | 5 | 15-16 | 10 |
| სიგმა | 9 | 2 | 4 | 3 | 10-14 | 10 |
| პრ. კრალოვე | 9 | 3 | 0 | 6 | 10-21 | 9 |
| ტეპლიცე | 9 | 2 | 2 | 5 | 9-14 | 8 |
| პრჟიბრამი | 9 | 2 | 2 | 5 | 9-15 | 8 |
| ოპავა | 9 | 0 | 1 | 8 | 7-19 | 1 |

## თურქეთი

ტრაბზონი — ანკარა 2-2
მალათია — რიზე 2-1
ფენერბახჩე — დენიზლი 2-1
დიარბაქირი — სამსუნი 1-1
ბურსა — ისთანბული 1-2
გიოზთეფე — იოზგათი 0-0
ბეშიქთაში — ქოჯაელი 4-2
გენჩლერბირ. — გალათასარაი 1-3
გაზიანთეფი — ანთალია 2-3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 7 | 6 | 1 | 0 | 17-6 | 19 |
| ისთანბული | 7 | 6 | 1 | 0 | 8-2 | 19 |
| გიოზთეფე | 7 | 4 | 2 | 1 | 8-5 | 14 |
| ფენერბახჩე | 7 | 4 | 1 | 2 | 13-8 | 13 |
| ქოჯაელი | 7 | 3 | 3 | 1 | 14-10 | 12 |
| ბეშიქთაში | 6 | 3 | 1 | 2 | 15-10 | 10 |
| ტრაბზონი | 7 | 3 | 1 | 3 | 14-11 | 10 |
| გენჩლერბირლ. | 7 | 2 | 3 | 2 | 16-14 | 9 |
| რიზე | 7 | 2 | 2 | 3 | 10-12 | 8 |
| იოზგათი | 7 | 2 | 2 | 3 | 8-12 | 8 |
| ანთალია | 7 | 2 | 2 | 3 | 11-19 | 8 |
| ანკარა | 7 | 2 | 1 | 4 | 23-18 | 7 |
| დენიზლი | 7 | 2 | 1 | 4 | 11-7 | 7 |
| ბურსა | 7 | 2 | 1 | 4 | 7-15 | 7 |
| გაზიანთეფი | 6 | 1 | 2 | 3 | 6-8 | 5 |
| დიარბაქირი | 6 | 1 | 2 | 3 | 10-14 | 5 |
| სამსუნი | 6 | 1 | 2 | 3 | 7-11 | 5 |
| მალათია | 7 | 1 | 0 | 6 | 3-19 | 3 |

## პორტუგალია

სეტუბალი — ბელენენსეში 0-1
ფერეირა — ბრაგა 0-0
ბეირა მარი — პორტუ 2-0
ვარზიმი — ლეირია 2-0
სალგეირუში — სანტა კლარა 2-1
ბენფიკა — ალვერკა 3-2
ბოავიშტა — ფარენსე 1-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოავიშტა | 7 | 5 | 1 | 1 | 13-6 | 16 |
| პორტუ | 7 | 4 | 1 | 2 | 13-5 | 13 |
| ბენფიკა | 7 | 3 | 4 | 0 | 14-10 | 13 |
| ბელენენსეში | 7 | 3 | 1 | 3 | 11-8 | 10 |
| სპორტინგი | 6 | 3 | 1 | 2 | 8-7 | 10 |
| გიმარაეში | 6 | 3 | 1 | 2 | 7-7 | 10 |
| მარიტიმუ | 6 | 3 | 0 | 3 | 10-8 | 9 |
| სეტუბალი | 7 | 3 | 0 | 4 | 12-11 | 9 |
| ლეირია | 7 | 2 | 3 | 2 | 7-7 | 9 |
| ბეირა მარი | 7 | 2 | 3 | 2 | 10-12 | 9 |
| ალვერკა | 7 | 3 | 0 | 4 | 10-14 | 9 |
| ბრაგა | 7 | 2 | 2 | 3 | 12-5 | 8 |
| ჟილ ვისენტე | 6 | 2 | 2 | 2 | 6-8 | 8 |
| სანტა კლარა | 7 | 2 | 2 | 3 | 7-12 | 8 |
| ფარენსე | 7 | 2 | 2 | 3 | 5-9 | 8 |
| ფერეირა | 7 | 1 | 4 | 2 | 6-6 | 7 |
| სალგეირუში | 7 | 2 | 1 | 4 | 5-12 | 7 |
| ვარზიმი | 7 | 1 | 2 | 4 | 8-17 | 5 |

## ნორვეგია

ბოდო გლიმტი — ბრანი 5-1
ბრინი — სტრიომგოდსეტი 1-1
მოლდე — ლილესტრიომი 1-2
მოსი — ოდ გრენლანდი 1-3
რუსენბორგი — ლინი 1-1
ტრომსიო — სოგნდალი 2-3
ვიკინგი — სტაბეკი 1-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსენბორგი | 23 | 15 | 6 | 2 | 63-26 | 51 |
| ლილესტრიომი | 22 | 15 | 4 | 3 | 55-27 | 49 |
| ვიკინგი | 22 | 13 | 5 | 4 | 39-25 | 44 |
| მოლდე | 23 | 12 | 4 | 7 | 52-37 | 40 |
| ბრანი | 23 | 11 | 5 | 7 | 58-41 | 38 |
| სტაბეკი | 22 | 12 | 2 | 8 | 41-36 | 38 |
| ოდ გრენლანდი | 22 | 10 | 4 | 8 | 40-34 | 34 |
| სოგნდალი | 23 | 8 | 4 | 11 | 39-53 | 28 |
| მოსი | 23 | 8 | 2 | 13 | 32-44 | 26 |
| ბოდო გლიმტი | 23 | 5 | 8 | 10 | 37-42 | 23 |
| ლინი | 23 | 5 | 8 | 10 | 36-42 | 23 |
| სტრიომგოდსეტ. | 23 | 3 | 9 | 11 | 35-63 | 18 |
| ბრინი | 23 | 4 | 4 | 15 | 25-56 | 16 |
| ტრომსო | 23 | 4 | 3 | 16 | 20-46 | 15 |

## დანია

აკადემისკი — ესბიერგი 2-0
ოდენსე — ვაილე 5-1
კოპენჰაგენი — ლიუნგბიუ 1-0
ვიბორგი — ოლბორგი 2-3
ორჰუსი — სილკებორგი 2-2
მიდტიულანდი — ბრიონდბიუ 1-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიონდბიუ | 10 | 7 | 2 | 1 | 27-4 | 23 |
| ოლბორგი | 10 | 7 | 1 | 2 | 19-13 | 22 |
| აკადემისკი | 10 | 4 | 4 | 2 | 15-10 | 16 |
| ესბიერგი | 10 | 5 | 1 | 4 | 14-16 | 16 |
| კოპენჰაგენი | 10 | 4 | 3 | 3 | 12-10 | 15 |
| მიდტიულანდი | 10 | 3 | 5 | 2 | 8-7 | 14 |
| ლიუნგბიუ | 10 | 2 | 6 | 2 | 11-11 | 12 |
| ოდენსე | 10 | 3 | 3 | 4 | 14-15 | 12 |
| ვიბორგი | 10 | 2 | 4 | 4 | 11-13 | 10 |
| ვეილე | 10 | 2 | 4 | 4 | 13-21 | 10 |
| ორჰუსი | 10 | 1 | 4 | 5 | 8-17 | 7 |
| სილკებორგი | 10 | 1 | 3 | 7 | 5-20 | 3 |

## შოტლანდია

დანდი — აბერდინი 1-4
ჰაროსი — დანდი იუნ. 1-2
სტ. ჯონსტონი — მოზერუელი 2-3
რეინჯერსი — სელტიკი 0-2
დანფერმლაინი — კილმარნოკი 0-2
ლივინგსტონი — ჰიბერნიანი 1-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 9 | 8 | 1 | 0 | 21-2 | 25 |
| რეინჯერსი | 9 | 5 | 3 | 1 | 22-8 | 18 |
| ლივინგსტონი | 9 | 4 | 4 | 1 | 9-5 | 16 |
| ჰიბერნიანი | 9 | 4 | 2 | 3 | 20-13 | 14 |
| კილმარნოკი | 9 | 4 | 2 | 3 | 11-9 | 14 |
| აბერდინი | 9 | 4 | 1 | 4 | 13-13 | 13 |
| დანდი იუნ. | 9 | 3 | 2 | 4 | 10-17 | 11 |
| დანდი | 9 | 3 | 2 | 4 | 9-17 | 11 |
| ჰართსი | 9 | 3 | 1 | 5 | 9-12 | 10 |
| მოზერუელი | 9 | 2 | 3 | 4 | 12-9 | 9 |
| დანფერმლაინი | 9 | 2 | 0 | 7 | 13-22 | 6 |
| სტ. ჯონსტონი | 9 | 0 | 3 | 6 | 7-19 | 3 |

## პოლონეთი

### A ჯგუფი

გურნიკი — ოდრა 1-3
ზაგლებე — ოსტროვეცი 4-3
ვისლა — ვიძევი 2-0
კატოვიცე — პოლონია 2-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 10 | 6 | 1 | 3 | 19-10 | 19 |
| ოდრა | 10 | 6 | 1 | 3 | 19-13 | 19 |
| პოლონია | 10 | 4 | 4 | 2 | 16-10 | 16 |
| ზაგლებე | 10 | 5 | 1 | 4 | 16-16 | 16 |
| კატოვიცე | 10 | 4 | 2 | 4 | 14-18 | 14 |
| ოსტროვეცი | 10 | 3 | 2 | 5 | 13-13 | 11 |
| გურნიკი | 10 | 2 | 3 | 5 | 9-16 | 9 |
| ვიძევი | 10 | 3 | 0 | 7 | 8-18 | 9 |

### B ჯგუფი

პოგონი — ამიცა 3-1
გროცლინი — რადომსკო 0-2
სტომილი — შლიონსკი 3-1
ლეგია — რუხი 1-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამიცა | 10 | 5 | 3 | 2 | 18-13 | 18 |
| პოგონი | 10 | 5 | 3 | 2 | 13-11 | 18 |
| ლეგია | 10 | 5 | 2 | 3 | 23-12 | 17 |
| შლიონსკი | 10 | 4 | 2 | 4 | 19-19 | 14 |
| რადომსკო | 10 | 3 | 3 | 4 | 9-10 | 12 |
| რუხი | 10 | 3 | 3 | 4 | 10-15 | 12 |
| გროცლინი | 10 | 3 | 2 | 5 | 14-17 | 11 |
| სტომილი | 10 | 2 | 2 | 6 | 10-19 | 8 |

## შვეიცარია

იანგ ბოისი — ლოზანა 7-0
ლუცერნი — არაუ (გადაიდო)
სიონი — ქსამაქსი 0-4
გრასჰოპერი — ლუგანო 2-5
სტ. გალენი — ციურიხი 3-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იანგ ბოისი | 13 | 6 | 4 | 3 | 26-18 | 22 |
| სერვეტი | 12 | 6 | 3 | 3 | 20-11 | 21 |
| სტ. გალენი | 13 | 6 | 3 | 4 | 26-22 | 21 |
| ლუგანო | 13 | 6 | 3 | 4 | 22-20 | 21 |
| გრასჰოპერი | 13 | 6 | 2 | 5 | 30-20 | 20 |
| არაუ | 12 | 5 | 4 | 3 | 17-12 | 19 |
| ქსამაქსი | 13 | 4 | 5 | 4 | 16-14 | 17 |
| ბაზელი | 11 | 5 | 2 | 4 | 22-21 | 17 |
| სიონი | 13 | 5 | 2 | 6 | 19-19 | 17 |
| ციურიხი | 13 | 4 | 5 | 4 | 16-20 | 17 |
| ლოზანა | 12 | 2 | 3 | 7 | 11-28 | 9 |
| ლუცერნი | 12 | 1 | 2 | 9 | 13-33 | 5 |

## 17 წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატი

ტრინიდადი და ტობაგოში დასრულდა 17 წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ:

***საფრანგეთი — ნიგერია 3-0***
პონგოლი (34), ლე ტალეკი (42), პეტრი (81)
*მატჩი მე-3 ადგილისათვის*
***ბურკინა ფასო — არგენტინა 2-0***
გოროგო (30), კონომბო (78)
ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს ფრანგი ფლორან სინამა პონგოლი.


ბურკინა ფასო — არგენტინა

**XX საუკუნის დიდი ფეხბურთელები**

ალფრედო დი სტეფანო:

# გმადლობთ, მოხუცო!

## მოთამაშეებზე

არ დავმალავ, ესპანეთში ჩემს კალაპოტში ვგრძნობდი თავს. რა იყო დაღლა არ ვიცოდი, სიამოვნებით ვვარჯიშობდი. და ხომ არიან ფეხბურთელები, რომელთათვის ვარჯიში დიდი ტვირთია, მათ მხოლოდ თამაში და ფულის აღება უნდათ. ვარჯიში განსაკუთრებულ მიდგომას მოითხოვს, იგი უნდა გიყვარდეს ჰობივით. მაშინ ფიზიკური მდგომარეობა სათამაშო აზროვნების სათანადო თანხმობაში მოვა.

ოცდაათი წლისასაც არაფრად მიმაჩნდა უფრო ახალგაზრდა მეტოქეები მჭიდროდ რომ „მმეურვეობდნენ". მოგიყვებით ერთ ამბავს: „ვალენსიის" ნახევარმცველ მანგრინიანს მწვრთნელმა, ალბათ, უბრძანა: მოგუდე ალფრედო!. იგი ნაბიჯის გადადგმის საშუალებას არ მაძლევდა. მთავარი ის იყო — ბურთის მიღება არ შემეძლო. შევეცადე გრძელი გადაცემებით მეთამაშა, მაგრამ, რას გავაწყობდი, ტოლს არ მიდებდა სისწრაფეში. მაშინ მუნიოსას ვთხოვე: „გადადი წინ, მე კი მინდვრის შუაგულში გადავინაცვლებ". მანგრინიანი აჩრდილივით ამედევნა, ამასთან, ვიდრე მუნიოსას ვიზავი გაირკვევოდა თუ რა მოხდა, მწვრთნელის მითითების თანახმად, ცენტრში გაიხირა. ამგვარად, ორის ყურადღება მივიპყარ. მარგრინიანი კი მას შემდეგ ექვიანი ცოლის სინონიმად იქცა. როცა მაგალითად, მეგობრული საღამოდან რომელიმე ჩვენთაგანი ადრე მიდიოდა, უეჭველად იტყოდა: „მომიტევეთ, მივდივარ მანგრინიანთან". ან: „ჩემი ცოლი მანგრინიანზე უფრო ხისტად მმეურვეობს". მიუხედავად ამისა, დღემდე ვმეგობრობ მასთან. დასანანია, რომ მუხლის ტრავმის გამო ადრე შეეშვა თამაშს. ახლა ასეთ ტრავმებს ადვილად და ძალიან სწრაფად არჩენენ. ასეთია ფეხბურთი.

ჩემს პარტნიორთაგან პირველ ყოვლისა, გამოვყოფ „ნენეს" მარსალს. 190 სანტიმეტრის სიმაღლის, ფართო ნაბიჯიანი, საჯარიმოში მეკობრისა და მინდვრის ყველა უბანზე მაშვრალის სახელი დაიდო. ერთხელ ბილბაოს „ატლეტიკოსთან" შეხვედრაში ყველა იმით გააოცა, თუ რა იოლად დატოვა მშრალზე ოთხი, იქნებ ხუთი მეტოქე. წერტილის დასმაღა იყო საჭირო, და უცებ დააყოვნა. მთელი გზა ვკიცხავდით. და რა გგონიათ? იმავ „ატლეტიკოსთან" „ბერნაბეუზე" ზუსტად იგივე გაიმეორა და განსაცვიფრებელი გოლი შეაგდო. სტუმრად წავაგეთ — 0-3. შინ კი, გავანადგურეთ — 8-1. და აღარავის გახსენებია ნენეს მარცხი, ის კი მის შეგდებულ გოლზე ათი წელიწადი ლაპარაკობდა.

ნენეს შრომისმოყვარე ვუწოდე, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მუყაითები ვიყავით ყველა. უშრომელად არ უნდა გქონოდა ასეთ გუნდში მოხვედრის იმედი. ყველას ყველაფერი უნდა შეძლებოდა, და თუ საჭირო იყო, გემუშავა მთელი ძალით დაცვაშიც. ეს შედიოდა ვალდებულებაში. თუ მოთამაშეს დაცვა არ შეუძლია, არაფერია მისი ფასი. ასეთებს „კაცი — მდინარე"-ს ვუწოდებდით, ვინაიდან მარტო დინებას მიჰყვებიან და დაბრუნება არ შეუძლიათ. „რეალში" იცავდა კოპა, იცავდა კანარიო, ჰენტოც კი იცავდა, ბუნებით თავდასხმისათვის შექმნილი. რა თქმა უნდა, აუცილებელია შემადგენლობაში სხვადასხვა სპეციალიზაციის მოთამაშეები, მათი ხარისხის გათვალისწინებით. ეს სუფრის გაწყობასავითაა: თავისი ადგილი აქვს თეფშს, ჭურჭელს, ღვინის ჭიქას... მაგრამ თამაში გაიძულებს ყველაფრის გაკეთება უნდა შეგეძლოს. 11 ნომერიც აღმოჩნდება, სიტუაციის მიხედვით, თავის კართან, 1 ნომერი კი, ე.ი. მეკარე, დღეს შეტევას იწყებს, და ეს აღარავის უკვირს.

ჩვენი მეტოქეობა „ბარსელონასთან" გარკვეულწილად შეედრებოდა „რეალ" — „ატლეტიკოს" დერბის. მინდორზე მტრები ვიყავით, თამაშის მერე — მეგობრები.

სასაცილოდ ვიგდებდით ერთმანეთს, გამარჯვებულები დამარცხებულებს, მაგრამ ბოროტად არა, ვინაიდან ვიცოდით, რომ გამარჯვება მუდმივად კი არ მოდის, ფეხბურთი ყოველთვის გაძლევს მოგების შანსს. „ატლეტიკოში" კი, ჩემს დროს შესანიშნავმა მოთამაშეებმა მოიყარეს თავი. მაგალითად, ვერდე. მას „ჯადოქარი" შევარქვი, მართლაც იყო მასში რაღაცნაირი იდუმალება, მის ტანადობაში, უკანასკნელი მოდის კოსტუმსა და მდუმარებაში. თამაშში სულაც არ გამოიყურებოდა „ვერდედ", ე.ი. ნელად და გუნდისთვის მეტად სასარგებლო იყო. დავასახელებ Wing-ს: კოლიარი და მიგელი. ორივე ნებისმიერ გუნდს რომ შეშურდებოდა. და კიდევ პეიროს, ნამდვილი მწევარი, თამაშობდა ნაკრებსა და იტალიაშიც. „ატლეტიკომ" სამეფო თასის ორი ფინალური მატჩი მოგვიგო „ბერნაბეუზე" 1960 და 1961 წელს. ჩემპიონთა თასის გათამაშებაში ტოლი არ მოგვეძებნებოდა, დავეუფლეთ საკონტინენტო თასსაც, მაგრამ თანამემამულეებს შინ ორჯერ დავუთმეთ გამარჯვება. განა არ არის ის შესანიშნავი გუნდი! ჩემპიონთა თასის მეოთხე გათამაშებაში ძლივს გადავურჩით ნახევარფინალში. 2-1, 0-1 და დამატებითი მატჩი გახდა საჭირო სარაგოსაში, სადაც კვლავ ჩვენ გავიმარჯვეთ — 2-1. „ატლეტიკოს" გამო ლამის ხელიდან გამეშვა ბედნიერება — ესპანეთის თასი რომ მჭეროდა. ჩემს ყოფნაში ერთადერთხელ მოვუგეთ „სევილიას" ფინალში — 1962 წელს. ისიც სასწაულებრივად! თამაშის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე ანგარიში იყო 1-1. მათეუსმა ვერ გამოიყენა პენალტი (გახსოვთ ჩემი დამოკიდებულება პენალტისადმი?), და აქვე პუშკაშმა გამარჯვების გოლი გაიტანა.

რა თქმა უნდა, ყველას მაღალი ხარისხის ფეხბურთი უყვარს, მაგრამ, როცა მინდორზე მუდმივი მეტოქეები გამოდიან, სილამაზისთვის არ სცალიათ. მთავარი შედეგია. კი, ვიღაც გაიხსენებს, მავანმა მოთამაშემ ბრწყინვალე გოლი გაიტანაო, მაგრამ ისტორიის ანალებს მარტო შედეგი შემორჩება, უკეთეს შემთხვევაში — ვინ შეაგდო ბურთი.

## პირველი კონტაქტები

ჭეშმარიტად ვარსკვლავურ გუნდში მოვხვდი. ვერ გამიგია, რატომ იყო „რეალი" რამდენიმე წელიწადს უტიტულოდ (ჩემპიონისას ვგულისხმობ). მეკარე — ხუანიტო ალონსო, ერთ-ერთი საუკეთესო კლუბის ისტორიაში, დაცვაში თითოეული პიროვნება იყო. თავდამსხმელებზე ლაპარაკს კი, ჰენტოთი დავიწყებდი.

ჩემზე სამი თვით ადრე მოვიდა გუნდში უთქმელი სოფლელი ბიჭი. საკმაო ძალისხმევა დასჭირდა ასეთ კომპანიაში საადაპტაციოდ. თუმცა, იმავე სეზონში დავიბრუნეთ ჩემპიონობა, სანტიაგო ბარნაბეუ მისით უკმაყოფილი იყო. იგი დაინტერესდა რა აზრისა ვიყავი ჰენტოზე. „იგი ფიგურაა, — ვუთხარი, — უბრალოდ, დროა საჭირო, მთელი ტანით რომ გაიმართოს". „რეალს" ცდა არ შეუძლია. იცადოს, — იყო პასუხი, — ხელახლა გავცვლიდით მას ესპინაზე".

ესპინა „რეალის" მოთამაშე იყო, და „სანტანდერს" ჰენტოში გაუცვალეს, და იგი იქ „გათამაშდა", გაიტანა ბევრად მეტი გოლი, ვიდრე ჰენტომ. მას არ ვიცნობდი, მაგრამ პარტნიორს გამოვექომაგე. შეიძლებოდა უარის თქმა ასეთ ჭაბუკზე, რომელიც სულ ოცი წლისაა?

და მართალი აღმოვჩნდი. ჰენტოს თვალშეუვლები სისწრაფე აღმოაჩნდა. მართალია, ხანდახან იგი უშლიდა მას: ახალგაზრდობით მოსდიოდა, რომ ვერ ასწრებდა სწორი გადაწყვეტილების მიღებას. სამაგიეროდ, შემდეგ ნამდვილად იქცა ჩვენი გამარჯვებების ფაქტორად.

მეც ხომ უცებ არ მიპოვია ჩემი თამაში. „მილიონარიოსი" და „რივერი" განსხვავდებოდა „რეალისაგან". იქ პარტნიორებთან ახლოს ვთამაშობდი და ბევრჯერ ვლებულობდი ბურთს. აქ კი გადამიყვანეს წინ, ოპერაციაგადატანილი ბოლოვნა ჩამომრჩებოდა და „მშრალ ულუფაზე" ვრჩებოდი. ნუ იფიქრებთ, რომ თავის გამოჩენას ვლამობდი. ყოველთვის გუნდური მოთამაშე ვიყავი. მიიღე ბურთი, მოატყუე ერთი-ორი, მიეცი, კვლავ მიიღე. და მაინც მე უფრო ადვილდებოდა, ვიდრე ჰენტოს. ნატურით გულღია



გახლავართ. გავესაუბრე მწვრთნელს, ბიჭებს. და ურთიერთმოქმედება აღსდგა საბოლოოდ. და აი, შედეგიც: ლიგის დამთავრებამდე ტურით ადრე ჩემპიონები გავხდით, გავანადგურეთ „ვალენსია", მე კი 29 გატანილი გოლით საუკეთესო ბომბარდირის წოდება მერგო. არ მახსოვს რამდენი, მაგრამ რამდენილაც პენალტი შევაგდე.

უკვე აღვნიშნე, რომ პენალტზე მაინცდამაინც გული არ მიმიდის და უფრო ღირებულად თამაშიდან გატანილი გოლი მიმაჩნია. მაგრამ პარტნიორები მაძალებდნენ და მივდიოდი დათმობაზე. მათ იზიდავდა ჩემი მტკიცე ნერვები და ძლიერი დარტყმა. დარწმუნებული ვარ, პენალტი მთელი ძალით უნდა დაარტყა. სხვაგვარად 90 პროცენტი 50-ად გადაიქცევა. ალბათ შემომედავებიან: აი, პუშკაში, სიძლიერის მიუხედავად, რბილად ურტყამდა. მაგრამ მას „ხმელი" დარტყმა განასხვავებდა და ბურთი რაკეტასავით მიჰქროდა, თავიდან ნელა და უცებ მკვეთრი აჩქარება მოჰყვებოდა.

საგანგებოდ ვილაპარაკებ ექტორ რიალზე. ჯერ კიდევ არგენტინიდან მოდის ჩვენი მეგობრობა. მე გამოვემგზავრე ესპანეთში ის კი მონტევიდეოს „ნასიონალში". იგი ვერ შეეგუა. მას არ სწყალობს ბედი. ერთ-ერთ ტურნირში პანამაში ჩარჩა აპენდიციტის შეტევით; ცოლს რომ უნდა ემშობიარა, უმუშევარი და უფულო იყო. მაგრამ აქ ბერნაბეუმ შეტევის ხაზის გამაგრება წამოიწყო და თამაშამდე მკითხა, ვინ მინდოდა გვერდით რომ მყოლოდა. და მოვუყევი ჩემი მეგობრის შესახებ. „გამიგე, რამდენს მოითხოვს"... ბუენოს-აირესიდან მივიღე პასუხი: რიალი თანახმაა, და 200 ათას პესეტს ითხოვს. ცოტაა! ავიღე იმავე ფერის კალამი და 200 გადავასწორე 250-ად. ბერნაბეუ უყოყმანოდ დათანხმდა.



ფოტო „ლელოს" არქივიდან

დიდი სამეული. მარცხნიდან: რაიმონდ კოპა, დი სტეფანო, ფერენც პუშკაში

ჯეელი კი ლამის პირველსავე ვარჯიშზე დაშავდა. კარგი საქმეა! საბედნიეროდ, მალე გამოჯანსაღდა და პირველსავე თამაშში, „ვალენსიასთან" ბრწყინვალე გოლი გაიტანა თავით. ე.ი. ხანდახან გაგიღიმებს ბედი. მერე გამანდო, რომ ცხოვრებაში მეორედ გაიტანა თავით ბურთი. ჩვენი მეგობრობა უფრო განმტკიცდა. და მაინც, უიღბლობა თან სდევდა რიალს. გუნდში მოვიდა პუშკაში, რომლისთვისაც გაათავისუფლა ადგილი მარცხენა ფლანგზე, მან ჩემსა და ჰენტოს შორის დაიკავა ადგილი. რიალი კი მარჯვენა ფრთაზე გადაიყვანეს. იგი, ერთგვარად, ჩაჰქნა და დაიკარგა.

ორიოდე სიტყვა მწვრთნელებზე. დონ სანტიაგო ბარნაბეუს უცხოელი მწვრთნელები მოსწონდა, განსაკუთრებით სამხრეთამერიკელები. ისინი, მისი აზრით, დიდი გამოცდილებისა და ფანტაზიისანი იყვნენ. იგი უპირატესობას აძლევდა მათ, ვინც მოთამაშედ შეიქმნა. გარდა ამისა, მიაჩნდა, რომ ევროპელები, მათ შორის ესპანელი მწვრთნელებიც ჩაკეტილ ფეხბურთს ნერგავენ. არ დავიწყებ კამათს მართალია იგი, თუ არა. თუ გავითვალისწინებთ ელინიო ერერას, მაშინ „ბარსელონას" რომ ავარჯიშებდა, ალბათ, მართალი არ არის, იმიტომ, რომ „კატანაჩიოს" ცნობილი გამომგონებელი წარმოშობით არგენტინელი იყო. ასეა თუ ისე, ჩვენ კი ესპანელი ვილიალონგა გვავარჯიშებდა, და მასთან ერთად ევროპის ჩემპიონთა თასის პირველ ორ გათამაშებაში ორჯერვე გავიმარჯვეთ 1956 და 1957 წლებში.

## ჩემპიონთა თასი

საკლუბო გუნდებისათვის ევროპის თასის შემოღების იდეა ფრანგული გაზეთის „ეკიპის" ფურცლებზე დაიბადა და იგი ადრინდელი მოთამაშისა და მწვთრნელის გაბრიელ ანოს კალამს ეკუთვნოდა. ამ იდეას მხარი არ დაუჭირა იმხანად (1954 წელი) შექმნილმა საკუთარი საორგანიზაციო პრობლემებითა და ნაკრებების ტურნირის შემუშავებაში მოუცლელმა ევროპის საფეხბურთო ასოციაციების კავშირმა. „ეკიპმა" წამყვან კლუბებს მიმართა მხარდასაჭერად, მათ შორის „რეალსაც" და მიიღო კიდეც იგი.

ყველაფერი ეს უეფა-ს არ მოეწონა და წამოაყენა შემხვედრი იდეა — ჩატარებულიყო საერთაშორისო ტურნირი საერთაშორისო ბაზრობების ორგანიზატორ ქალაქებს შორის. ამ ტურნირმა 1955 წლის ივნისში აიღო სტარტი. ფიფამ მაინც მოიწონა ჩემპიონთა თასი, უეფას აღარაფერი დარჩენოდა, უნდა შეერთებოდა. 19 ივლისს ესპანეთის ფედერაციამ მიაწოდა ცნობა „რეალი" (მადრიდი), როგორც ლიგის ჩემპიონი ჩართულია ტურნირში. შესასვლელი შესატანი შეადგენდა 250 შვეიცარიულ ფრანკს. 4 სექტემბერს ლისაბონში გაისმა სასტვენის ხმა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების დაწყების შესახებ, ბრძოლაში ჩაერთო ადგილობრივი „სპორტინგი" და ბელგრადის „პარტიზანი".

პროექტს ევროპული ფეხბურთისათვის რევოლუციური მნიშვნელობა ჰქონდა, თუმცა სკეპტიკოსები საკმარისზე მეტი ჰყავდა. მათ შორის იყო „რეალიც", რომელმაც მაშინ მონაწილეობა მიიღო ლათინური თასის ორ გათამაშებაში და ორივეჯერ ნადავლით დაბრუნდა. სკეპსისი შემატა ჩვენმა პირველივე მეტოქემ — ჟენევის „სერვეტმა". უხეში გუნდი იყო, კედლად აღიმართებოდა კარის დასაცავად. ჩემს წინააღმდეგ თამაშობდა კი არა, მებრძოდა ოთხმოცდაათზე მეტი კილოგრამიანი ცენტრალური მცველი, თუმცა საკმაოდ მოძრავი. თამაშის წინ შვეიცარიის დედოფალმა ვიქტორიამ მიგვიღო. მიღებაზე იყო მაშინ ჯერ კიდევ პრინცი ხუან კარლოსი, რომელიც თამაშზე ჩამოფრინდა. არ ვიცი დონ სანტიაგო ბერნაბეუ იყო თუ არა მონარქისტი, მაგრამ მონარქისტებთან ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდა.

შესვენებაზე ყურებჩამოყრილები ვისხედით: ვერა და ვერ გავხსენით ანგარიში. გვარიანად დავიზიანე ხელის მტევანი, ცივ წყალში მქონდა და ვერ შევამჩნიე, როგორ გაჩნდა ხუან კარლოსი. ის კი მომიახლოვდა და მითხრა: „საეტა (ჩემი მეტსახელი იყო) შენგან მეტს ელიან". „ააა!" — მარტო ესღა მოვახერხე.

ჟენევაში გავიმარჯვეთ 2-0 (მუნიოსი და რიალი), წინ კი დავარბიეთ მეტოქე — 5-0, მე ორი გოლით ჩემი ანგარიში გავხსენი. 1/4 ფინალში მივიღეთ „პარტიზანი" (კვლავ შევაგდე ბურთი), გავიმარჯვეთ 4-0, და ცა ჩანდა, როგორც იტყვიან ბრაზილიელები, „სრულიად ცისფერი". ჩარტერული რეისით ჩავფრინდით ბელგრადში და მართლაც მზე დაგვხვდა. მაგრამ დილით ფანჯარაში რომ გავიხედეთ, ერთი მეტრი თოვლი იდო, ტრამვაი გაჩერებულიყო, ქალები გზას წმინდნენ. წარმოუდგენ[illegible]ვლზე თამაში შეუძლებელია, მაგრამ ბერნაბეუს ნებისმიერ ფასად სურდა ტური დაემთავრებინა. მინდორი ოდნავ გაწმინდეს და წითელი საღებავით გაავლეს ნიშნულები. დამთბარი გასახდელიდან გამოვიხედეთ და მოთამაშე ბიჭები დავინახეთ, თურმე ჩვენი მეტოქეები ყოფილან მოთელვაზე. მათ ფეხი არ უცურდათ, ჩვენ კი თავი ყინულზე გვეგონა, ერთი მეორის მიყოლებით ვეცემოდით. და დაიწყო. მილუტინოვიჩი, იმ მილუტინოვიჩის ძმა, რომელიც ახლა ცნობილია როგორც რამდენიმე ნაკრების მწვრთნელი, ხარიხას ახვედრებს ბურთს. მაგრამ ტაიმის ბოლოს — პენალტი მეტოქის კარში. ვაპირებ დარტყმას და მესმის, რიალი ზურგს უკან ითხოვს: „მომეცი". კი ბატონო. გამოქანდა, ფეხი დაუცურდა და, კინაღამ წაიქცა, ბურთი ხუთი მეტრით ააცილა. ბადის ნაცვლად აკრული თოვლისგან დამძიმებული ჭურვი პოლიციელს მოხვდა. სასაცილო იყო, სატირელი რომ არა! დაშავდა ბესერელი და ათნი ვრჩებით თამაშში. შეცვლა მაშინ არ იყო ნებადართული. რა ვთქვა მეტი? წავაგეთ — 0-3. კიდევ კარგი, ნახევარფინალში რომ გავედით. სტვენითა და თოვლის გუნდებით გაგვაცილეს. ერთი ჩვენს მწვრთნელს, ვილიალონგს მოხვდა. შიგ ქვა აღმოჩნდა. თავში რომ მოხვედროდა, მოკლავდა. გასახდელში შავი დღე გვაყარა ბერნაბეუმ. თქვა, რომ კლუბი შევარცხვინეთ, ქვეყანა, ესპანელები, საზღვარგარეთ მცხოვრები ესპანელები და ასე შემდეგ.

მომდევნო ეტაპზე „მილანი" გვერგო მეტოქედ. შინ ძალიან დამაჯერებლად ვითამაშეთ — 4-2. ანგარიში რიალმა გახსნა, მე კი მესამე გოლი გავიტანე. იტალიაში ისევ გაგვიჭირდა. საკმარისი იყო, რომ ასტრიელმა მსაჯმა ორი პენალტი დანიშნა ჩვენს კარში. აღვშფოთდით, როგორც შეგვეძლო, მაგრამ იგი კედელივით უდრტვინველი იყო. საბოლოოდ — 1-2 და ჩვენ ფინალში ვართ.

რა სარგებლობა მოაქვს ასეთ დამარცხებას? იგი მედგრობას, ურჟუობას გამოგიმუშავებს, წარმატების შემდეგ განცხრომას არ უნდა მის[illegible]ვი. ერთხელ მატჩის წინ ასეთი ტელეგრამა მივიღე: „ერთიანად გავიმარჯვებთ, გაშორიშორებულები — დავმარცხდებით". არ შეიძლება არ დაეთანხმო.

ფინალი ერთი თამაშისგან შედგებოდა პარიზში, „პარკ დე პრენსის" სტადიონზე, მეტოქეებიც ფრანგები გვყავდა, „რეიმსი". პარიზმა ასე გადაუხადა მადლობა თასის გაჩენას. დავუმატებ, რომ ცოტა რამ ვიცოდით მეტოქეზე. სად იყო მაშინ ამდენი ინფორმაციის წყარო. ჩავედით თამაშამდე სამი დღით ადრე. დავათვალიერეთ ყველა ღირსშესანიშნავი ადგილი. ვცხოვრობდით პატარა ციხედარბაზში. ძლივს მოვთავსდით. ყმაწვილს, რომელსაც ჩვენი ბარგი ებარა ძაღლის სოროში ეძინა. საბედნიეროდ, ძველად ძაღლებს კარგად ექცეოდნენ.

მატჩის დასაწყისში თავგზადაბნეულები და დაძაბუნებულები აღმოვჩნდით, მეათე წუთზე ვაგებდით — 0-2. მართლაც ძლიერი გუნდი იყო: იდალგო, კოპა, გლოვაცკი, ჟონკე... სამიოდე წუთის შემდეგ ერთი გოლი გავქვითე, შესვენებამდე რიალმა — მეორე. ჩემს სამშობლოში კრეოლები იტყვიან ხოლმე: „თუ ცხენი ეწევა წინწასულს, ესე იგი, მოგება სურს". ასე დაგვემართა. ისინი კვლავ წინ გავიდნენ, კვლავ დავეწიეთ (მარკიტოსი) და დამთავრებამდე ათი წუთით ადრე რიალმა ჰენტოს ბრწყინვალე გადაცემით გამარჯვების გოლი გაიტანა. ძალიან მოვინდომეთ და გავიმარჯვეთ. მინდორზე ემიგრანტები გამოცვივდნენ, გამახსენდა დონ სანტიაგოს სიტყვები. საღამოს სადღესასწაულო ვახშამზე თასით ვსვამდით ღვინოს. გაბრიელ ანომ „ეკიპში" დაწერა: „დი სტეფანო — ყველაზე ძვირფასი მოთამაშე, რომელიც ოდესმე მინახავს. არაჩვეულებრივია თავდასხმასა და დაცვაში. მთლად დაჩრდილა ჩვენი კოპა"...

კოპასთან დაკავშირებით, თავს უფლებას მივცემ და ვერ დავეთანხმები. ბერნაბეუმ მყისვე დაადგა თვალი და უკვე შემდეგ სეზონში მასთან კონტრაქტს მოაწერა ხელი. იმუშავა კი საპორტამ, კარგი კავშირები ჰქონდა საფრანგეთთან. ბერნაბეუს აზრით, კოპას წინ უნდა ემოქმედა, მე კი, ოდნავ უკან, მარჯვნივ. გამოვიდა კი პირიქით, და ყველა მოგებულნი აღმოვჩნდით. კოპა დიდი ფეხბურთელია, ძლიერი, ტექნიკური, მობილური.

*(დასასრული შემდეგ ნომერში)*

დასაწყისი იხ. „ლელო" №72-76

ეროვნული ბიბლიოთეკა



# კასპაროვი ისევ მიუწვდომელია

გამოქვეყნდა პროფესიონალთა საჭადრაკო ასოციაციის ახალი რეიტინგი 2001 წლის 1 ოქტომბრისათვის. ლიდერობას კვლავ ინარჩუნებს თანაც შთამბეჭდავად, დიდოსტატი გარი კასპაროვი, ვლადიმირ კრამნიკი (ორივე — რუსეთი), მას 5 ქულით ჩამორჩება. ათეული კი ასე გამოიყურება: 1. კასპაროვი — 2798 ქ., 2. კრამნიკი — 2793, 3. ანანდი (ინდოეთი) — 2732, 4. ტოპალოვი (ბულგარეთი) — 2706, 5. ლეკო (უნგრეთი) — 2699, 6. მოროზევიჩი (რუსეთი) — 2699, 7. ივანჩუკი (უკრაინა) — 2692, 8. ხალიფმანი (რუსეთი) — 2676, 9. ადამსი (ინგლისი) — 2670, 10. გელფანდი (ისრაელი) — 2665.




# ტრინიდადი პირველად ჩავარდა ნოკაუტში

ნიუ-იორკში გაიმართა ორი პაექრობა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად პროფესიონალ მოკრივეთა შორის. IBF-ის ვერსიით მსოფლიო ჩემპიონმა საშუალო წონაში ბერნარდ ხოპკინსმა ახლა ჩემპიონის ქამარი WBC-ის ვერსიითაც მოიგო.

მე-12 რაუნდში მან ნოკაუტში გაგზავნა დაუმარცხებელი პუერტორიკელი ფელიქს ტრინიდადი, რომელსაც აქამდე ჩატარებული 40 ბრძოლიდან ყველა შეხვედრა მოგებული ჰქონდა პროფესიულ რინგზე.

სუპერმსუბუქ კატეგორიაში მექსიკელმა რიკარდო ლოპესმა შეინარჩუნა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული IBF-ის ვერსიით, მოუგო რა ასევე ნოკაუტით მე-8 რაუნდში სამხრეთაფრიკელ ზონალი პეტელოს.



# ჰაკინენი უსაზღვროდ ბედნიერი იყო

ვიდრე 21 მრბოლი სტარტისთვის ემზადებოდა, ჰაკინენმა შეიტყო, რომ წესების დარღვევისთვის სტარტის ადგილი შეუნაცვლეს. თავიდან ისე ჩანდა, თითქოს ჰაკინენი ვინმეს გასწრებას არ აპირებდა. პირველობას კი ერთმანეთს „ფერარისა“ და „უილიამსის“ პილოტები ეცილებოდნენ, რომლებიც სწრაფად მოძრაობდნენ, რადგან ბენზინის მცირე მარაგით გამოვიდნენ და მათი მანქანებიც მსუბუქი იყო. „ფერარისა“ და „უილიამსის“ მანქანებმა მალე ბოქსებში შესვლა დაიწყეს. ჰაკინენი კი იქ მხოლოდ 47-ე წრეზე შევიდა და უკან დაბრუნებისას პირველ პოზიციაზე აღმოჩნდა. უილიამსელები რალფ შუმახერი და მონტოია რბოლას ცოტა ხანში გამოეთიშნენ. ბარიკელოს კი მანქანამ ბოლო წრეზე უმტყუნა. ჰაკინენი მშვიდად მიიჭრა ფინიშამდე. „დღევანდელი გამარჯვება მთელი გუნდის კარგი მუშაობის შედეგია. დღეს მანქანა მშვენივრად იყო მომზადებული. ძალიან მეწყინა, რომ სტარტის აღება პირველი კი არა, მეორე რიგიდან მიწევდა, მაგრამ წყენამ უკვე ჩაიარა და ახლა ბედნიერი ვარ. დღეს კარგი რბოლა იყო, სადაც უკეთესი სტრატეგიის წყალობით გავიმარჯვე.“

მიკა ჰაკინენმა, რომელმაც ორი დღის წინ თავისი დაბადების დღის 33-ე წელი აღნიშნა, კარიერაში მე-20 გამარჯვება მოიპოვა. მეორე ადგილი მსოფლიო ჩემპიონმა მიხაელ შუმახერმა დაიკავა. მესამეზე კი მაკლარენის კიდევ ერთი მრბოლი — დევიდ კულტჰარდი აღმოჩნდა, რომელიც კმაყოფილი იყო იმით, საერთო ჩათვლაში რომ მეორე ადგილისთვის თავის უშუალო კონკურენტს ბარიკელოს 7-ქულით უსწრებს.

მე-16 ეტაპის („აშშ-ს გრან-პრი“) ექვსეული ასე გამოიყურება: 1. მიკა ჰაკინენი (ფინეთი) — 1:32.42840, 2. მიხაელ შუმახერი (გერმანია) — ჩამორჩენა 0.11,046, 3. დევიდ კულტჰარდი (დიდი ბრიტ) — 0.012, 043, 4. იარნო ტრული (იტალია) — 0.57,423, 5. ედი ირვინი (დიდი ბრიტ) — 1.12,434, 6. ნიკ ხაიდფელდი (გერმანია) — 1.12.996. უმეტესობა ამ ექვსეულს თითო წრით ჩამორჩა. ***საერთო ჩათვლა:*** 1. მ. შუმახერი — 113 ქულა, 2. კულტჰარდი — 61, 3. ბარიკელო — 54, 4. რ. შუმახერი — 48, 5. ჰაკინენი — 34, 6. მონტოია — 25. ***კონსტრუქტორთა თასი:*** 1. „ფერარი“ — 167 ქულა, 2. „მაკლარენი“ — 95, 3. „უილიამსი“ — 73, 4. „ზაუბერი“ — 21, 5. „ჯორდანი“ — 19, 6. ბრი — 17, 7. „ბენეტონი“ — 10, 8. „იაგუარი“ — 10, 9. „პროსტი“ — 4, 10. „ეროუზი“ — 1.

# ნავრატილოვა ერთ ღამეში ერთად ყოფნისთვის კურნიკოვას მილიონ დოლარს სთავაზობს

ანა კურნიკოვა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ფიგურა გახდა არა მხოლოდ სპორტულ სამყაროში. დავიწყოთ იმით, რომ კურნიკოვას ხშირად სთხოვენ არასპორტულ თემაზე რეკლამაში მონაწილეობას, მოდელიორობას, უსასრულოდ იღებენ ფოტოფირზე და იგი თავისებური რეკორდსმენია – უკვე არსებობს თურმე ამ ჩოგბურთელის სამი მილიონი ფოტოსურათი, უსაზღვროდ ბევრია მისი საიტი ინტერნეტში, მასზე იქმნება უამრავი დოკუმენტი, არ დარჩენილა მსოფლიოში გაზეთი და ჟურნალი (ტელევიზიაზე აღარაფერს ვამბობთ), კურნიკოვას რომ







არ ასხამდეს ხოტბას. და ეს ხდება მაშინ, როცა რუს ჩოგბურთელს ჯერ არ მოუგია არც ერთი სოლიდური ტურნირი და არც ერთხელ არ ყოფილა „დიდი შლემის“ ფინალში. ყველაფრის კონცენტრირება ხდება მის აღნაგობასა და მიმზიდველობაზე. მეტიც, თურმე, სპორტული ინტერესის გამო სულაც არ მიდიან კორტზე მის სანახავად. ეს მაჩვენებელი, რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს, 0-ს უტოლდება.

ჩვენ უკვე ვწერდით, რომ ცნობილი ჟურნალი „Pleuboy“ კურნიკოვას 10 მილიონ დოლარს სთავაზობს, ოღონდ ამ ჟურნალში მისი შიშველი სხეულის ფოტო დაიბეჭდოს.

და აი, ახალი ცნობა. მარტინა ნავრატილოვა კურნიკოვას მილიონ დოლარს სთავაზობს, ოღონდ მასთან ერთი ღამე გაათიოს, მეორე ლესბოსელი ჯინ კინგი კი უფრო „ძუნწი“ გამოდგა – მხოლოდ 500 ათას დოლარს იმეტებს. არიან მამაკაცებიც, რომლებიც იგივესთვის არა ფულის გადახდა სურთ, არამედ მზად არიან 15-20 წლით ჩაჯდნენ ცისეში.

# ჩემპიონის ტიტული დაიცვა

რუსეთელმა ნიკოლაი ვალუევმა დაიცვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული პანაზიური კრივის ასოციაციის ვერსიით. ვალუევმა ქულებით დაამარცხა ახალზელა-




ნდიელი კიპუ ტასეფე 12-რაუნდიან პაექრობაში სანკტ-პეტერბურგში.

ვალუევი მსოფლიოში ყველაზე ზორბა მოკრივეა პროფესიონალებში. მისი სიმაღლეა 210 სმ, წონა — 145 კგ. პროფესიულ რინგზე ეს იყო მისი 28-ე ბრძოლა.

# სექს-დოპინგის მიმდევრები

მაშინ, როცა მთელ მსოფლიოში საყოველთაო და დაუნდობელი ბრძოლა გამოცხადდა სპორტში დოპინგის წინააღმდეგ, სპეციალისტები მედიკოსებთან ერთად, ეძებენ ახალ გზებს და საშუალებებს, რაც აამაღლებს სპორტსმენის შესაძლებლობებს შეჯიბრებებზე, შედეგი კი სადავო არ გახდება. ახლა ირკვევა, რომ თურმე ამ თვალსაზრისით, ორიგინალურ საშუალებას მიმართავდნენ ჯერ კიდევ გდრ-ის სპეციალისტები, კერძოდ, აქტიურად იყენებდნენ სექს-დოპინგს. რამდენიმე საათით ადრე სტარტამდე, თურმე სექსი განსაკუთრებით კარგად მოქმედებდა მოცურავეთა შედეგებზე, რის გამოც, გდრ-ის ცისფერი ბილიკის ოსტატი ქალები, უძლიერესებად ითვლებოდნენ მთელ მსოფლიოში. დადგენილია ისიც, რომ გდრ-ის გასაიდუმლოებულ ლაბორატორიებში ამ მიმართულებით მთელი რიგი მეცნიერული გამოკვლევებიც ტარდებოდა, რომლის ანალიზის საფუძველზე ქალთა ნაკრებ გუნდში ამ საქმის სპეციალისტი ვაჟიც ჰყოლიათ... შტატში. არაოფიციალურად, ცხადია, იგი იწოდებოდა, მწვრთნელად. ოფიციალურად კი...

გდრ-ის მეცნიერების დასკვნა ასეთი იყო: სტარტის წინ რამდენიმე საათით ადრე სექსი ქალებს იმდენ ენერგიას და ხალისს მატებს, რომ ისინი მზად არიან თუნდაც, „მთები დაძრან ადგილიდან“. ამასთან დაკავშირებით, კიდევ ერთ ფაქტს გავიხსენებთ. არცთუ დიდი ხნის წინათ, ცნობილმა საბჭოთა ტანმოვარჯიშემ ოლგა კორბუტმა საქვეყნოდ აღიარა, რომ 1972 წელს, ოლიმპიურ სარბიელზე გასვლის წინა ღამეს მის ოთახში გამოცხადდა მწვრთნელი კონიაკის ბოთლით ხელში და მაღალი სპორტული შედეგების მიღწევის გარანტიისთვის გოგონა საშინელებაზე დაიყოლია.

არის მოსაზრება, რომ სექს-დოპინგი ფართოდაა მოდებული მსოფლიოს სპორტულ სამყაროში.

# მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**2 ოქტომბერი, სამშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ჩვენი ფეხბურთი (22.05), ***ევრიკა.*** მსოფლიო სპორტი (10,45, 21.40), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (20.00). ***ESPN.*** ფეხბურთი: იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (17.00), ჩემპიონთა ლიგა (23.00), კარატე (02.00), ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. ევროგოლები (15.00), მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი (20.30), ***НТВ плюс футбол.*** გერმანიის ჩემპიონატის მიმოხილვა (15.40), კონფედერაციის თასი – 2001. საფრანგეთი – კორეა (19.25), ბრაზილია – კამერუნი (23.25), ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი (21.40), ***НТВ плюс спорт.*** ჩოგბურთი. საერთაშორისო ტურნირი –„კრემლის თასი“ (14.00, 18.50).

**3 ოქტომბერი, ოთხშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ჩვენი ფეხბურთი (10.05), ***ევრიკა.*** მსოფლიო სპორტი (10,45, 22.30), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (20.00) ***ESPN.*** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი (17.30, 23.00), ***EUROSPORT.*** მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი (13.30), ცხენოსნობა. კონკური (15.30), ფეხბურთი. გერმანიის საერთაშორისო ტურნირი (20.00). ***НТВ плюс футбол.*** კონფედერაციის თასი – 2001. საფრანგეთი – კორეა (13.55), ბრაზილია – კამერუნი (16.10), ავსტრალია – საფრანგეთი (19.40), კორეა – მექსიკა (22.45), იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (21.25). ***НТВ плюс спорт.*** კიკბოქსინგი. პროფესიონალთა სამატჩო შეხვედრა (12.10), ტაილანდური კრივი. პროფესიონალთა ორთაბრძოლები (0.00).

**4 ოქტომბერი, ხუთშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** საკალათბურთო მიმოხილვა (17.20), ***რუსთავი-2.*** ევროპის ქვეყნების საფეხბურთო მიმოხილვა (19.00), ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი“ (10.45, 21.40), ***ESPN.*** ფეხბურთი: იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (07.30), ჩემპიონთა ლიგა „ტოტენჰემი“ – „მანჩესტერი“ (17.30), მსოფლიო თასი. მიმოხილვა (05.00), ***EUROSPORT.*** ცხენოსნობა. კონკური (11.30), რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (1.30, 3.45), ჭიდაობა. მსოფლიო ჩემპიონატი (2.15), ***НТВ плюс футбол.*** კონფედერაციის თასი – 2001. ავსტრალია – საფრანგეთი (13.15), კორეა – მექსიკა (16.20), საფრანგეთი – მექსიკა (19.20), კამერუნი – კანადა (23.00). ***НТВ плюс спорт.*** ტაილანდური კრივი. პროფესიონალთა ორთაბრძოლები (12.45), კიკბოქსინგი. პროფესიონალთა სამატჩო შეხვედრა (0.00).

# კროსვორდი №77




**თარაზულად:** 1. ქართველი ვეტერანი ფეხბურთელი, მწვრთნელი, 5. კალათბურთის ბადე-რკალის სამაგრი, 8. „მილანის“ ყოფილი ნახევარმცველი, ხორვატი ფეხბურთელი, 9. წარსულში ცნობილი ესტონელი ძალოსანი, 10. ინგლისელი ფეხბურთელი, 1998 წლის ჩემპიონატის მონაწილე, 11. სპორტული შედეგი, 14. ილეთი ჭიდაობაში, 16. ინგლისის ნაკრების ფეხბურთელის — ფერდინანდის სახელი, 19. ნორვეგიის საფეხბურთო კლუბი, 20. სპორტის სათამაშო სახეობა, 22. საფრანგეთის საფეხ. კლუბი, 23. შოტლანდიის საფეხბურთო კლუბი, 24. იტალიის ტრადიციული ველორბოლის შემოკლებული დასახელება, 25. იაპონელი ფეხბურთელი, 1998 წ. მსოფლ. ჩემპიონატის მონაწილე, 26. ქუთაისის მორაგბეთა კლუბი.

**შვეულად:** 2. ავსტრალიელი ჩოგბურთელი, 3. „მიდლსბროს“ ფეხბურთელი, 4. ძველი იარაღი, გაუმჯობესებული მშვილდ-ისარი, 5. ფეხბურთის თავგამოდებული ქომაგი ანუ... 6. მშვილდით სასროლი, 7. შეჯიბრება სპორტსმენებს ან გუნდებს შორის, 11. სპორტის სათამაშო სახეობა, 12. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი, 13. სოკ-ის ყოფილი პრეზიდენტი, სამარანჩის წინამორბედი, 15. წარსულში ცნობილი რუსი ფეხბურთელი (50-იანი წლები), 17. სახლი აზარტული თამაშებისთვის, 18. ოლიმპიური თამაშების (2004 წ.) მასპინძელი ქალაქი, 21. ჩოგბურთში პარტია.

## კროსვორდი №76 ● პასუხები:

**თარაზულად:** 4. კანონი, 5. „გორდა“, 9. „სოსიედადი“, 11. რინგი, 12. როა, 13. ეფენბერგი, 14. გეა, 16. ჩუი, 17. ასპე, 20. კალცი, 21. კანტონა, 24. ვეა, 26. პორტიე, 27. ხელბურთი, 28. ეტლი. **შვეულად:** 1. თარო, 2. ნოდია, 3. ფოლი, 6. დოპინგიი 7. არდილესი, 8. ბა, 9. „სარაგოსა“, 10. დიდი, 15. აზარაშვილი, 16. ჩილავერტი, 18. „სკონტო“, 19. სალონი, 22. ტარტუ, 23. კრახი, 25. „არდი“.

## საჭადრაკო ამოცანა

ოთარ გამულაშვილი




შამათი 3 სვლაში

**წინა ნომრის ამოცანის ამოხსნა:**
1. ლc3! a3 2. ლ:a3+ ეa4 3. ლc3+ ეb4 4. ლd2 მფa4 5. ლa2X.
თუ 3. ...b4 4. ლe5+ b5 5. ლc7X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, 8. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX ● „ლელოს“ კომპიუტერული ცენტრი: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.